



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვაგბედიშვილი”

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკაში

აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ნოე ქაშიბაძე

“05 “სექტემბერი” 2018 წელი

N 57136

ეგზ: N:1

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევენილთა
საქმეების დეპარტამენტის, იუსტიციის დეპარტამენტის
და სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და
ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის საბიუჯეტო
სახსრების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან
შესაბამისობის აუდიტი

(პროგრამული კოდი: 11 00, 10 00, 12 00)

სარჩევი

ტერმინთა განმარტება	3
შემაჯამებელი მიმოხილვა	4
შესავალი	16
1.1 ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	16
1.2 აუდიტორის პასუხისმგებლობა	16
1.3 აუდიტის საგანი	17
1.4 აუდიტის მასშტაბი	17
1.5 გამოყენებული კრიტერიუმები	17
1.6 აუდიტის მიზანი	20
1.7 ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის საქმიანობის შესახებ	20
2. აუდიტის მიგნებები	23
2.1 შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება	23
2.2 სახელმწიფო შესყიდვები	25
2.3 საწვავის ლიმიტი	30
2.4 დევნილი ბავშვების ბანაკში დასვენება	34
2.5 დევნილი ბავშვების ესპანეთის სახელმწიფოში გამგზავრება	36
2.6 ფინანსური ანგარიშგება და ბუღალტრული დოკუმენტაცია	38
2.7 შრომის ანაზღაურება	44
2.8 ინვენტარიზაციის პროცესი	51
2.9 უძრავი ქონების განკარგვა	55
2.10 დანაკლისები	56
2.11 სარეზერვო ფონდიდან გაცემული სოციალური დახმარებები	57
2.12 კონტროლი მმართველობაში შემავალ სსიპ-ზე	58
2.13 წინა აუდიტით გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორების მდგომარეობა	59
3. აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	60

ტერმინთა განმარტება

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტი - დევნილთა დეპარტამენტი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტი - იუსტიციის დეპარტამენტი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტი - სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი.

იძულებით გადაადგილებული პირი - იგპ.

ავტონომიური რესპუბლიკა - ა/რ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა - აფხაზეთის მთავრობა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე - აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - შპს.

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან (01.01.2017წ. – 01.01.2018წ.) შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

1. დევნილთა დეპარტამენტში, ისევე როგორც წინა 2016 წელს, ფაქტობრივად მთელი წლის განმავლობაში შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება ხდებოდა მუდმივი ხასიათის სამუშაოების (ამოცანების) შესასრულებლად და ამასთანავე დინამიკაში (2016 წელთან შედარებით) ამ მხრივ მდგომარეობა შეცვლილი არ იყო (გვ. 23).

2. დევნილთა დეპარტამენტის მიერ განხორციელებული შესყიდვების შესწავლით გამოვლინდა ისეთი შემთხვევა, როდესაც შესყიდვა განხორციელდა ერთი და იგივე პიროვნების საკუთრებაში არსებული სხვადასხვა ორგანიზაციისგან (მ.შ. ერთი ორგანიზაცია რეგისტრირებული იყო შავ სიაში). აღნიშნული შემთხვევა - არაკეთილსინდისიერი ქმედების გამო შავ სიაში რეგისტრირებული ორგანიზაციისა და შესაბამისად მისი წარმომადგენლის დაქვემდებარების ქვეშ მყოფი იგივე საქმიანობის განმახორციელებელი სხვა ორგანიზაციის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების რისკების შემცველი იყო (გვ. 25).

3. დევნილთა დეპარტამენტში გამოვლინდა შესყიდვების ხელშეკრულებების შესრულება/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის სააგენტოს ელექტრონულ სისტემაში დაგვიანებით ატვირთვის ფაქტები. ასევე, შესყიდვებთან დაკავშირებით განხორციელებული პროცედურების, კერძოდ ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების მომზადების მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შეუსაბამობა (გვ. 27).

4. იუსტიციის დეპარტამენტში განხორციელებული შესყიდვების შესწავლით გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც თავდაპირველად გაფორმებული შესყიდვების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შეუსრულებლობისა და შესაბამისი

ცვლილებების აუცილებლობის დაუსაბუთებლობის პირობებში კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით მოხდა ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა, რაც ფაქტობრივად საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიურად და არაეფექტიანად ხარჯვის ხელშეწყობის რისკების მატარებელი იყო (გვ. 28).

5. დევნილთა დეპარტამენტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანების საწვავის ხარჯვის შესწავლით გამოვლინდა საწვავის ჩასხმის ფაქტები არასამუშაო დროს, სადღესასწაულო დღეებში და ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, იმ დროს, როცა მივლინებაში არცერთი თანამშრომელი არ იმყოფებოდა. აღნიშნული ავტომანქანების საწვავის ჩასხმების დროს, მანქანის გაყვანის დანიშნულება არ დაფიქსირებულა სამსახურობრივი მიმოსვლის ავტომანქანების მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალში (გვ. 30).

6. იუსტიციის დეპარტამენტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანის საწვავის ხარჯვის შესწავლით გამოვლინდა ისეთი შემთხვევა, როდესაც ავტომანქანის საწვავის თვიური ლიმიტის გადაჭარბების ფაქტის გამართლების მიზნით დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ გაზარდა საწვავის ლიმიტი და ბრძანება მიუსადაგა იმ დროისათვის უკვე საწვავის ფაქტობრივ ხარჯს (გვ. 32).

7. სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანის საწვავის ხარჯვის შესწავლით გამოვლინდა, რომ წლის განმავლობაში საწვავის ლიმიტი დეპარტამენტის ხელმძღვანელის ბრძანებებით შეიცვალა 8-ჯერ. დეპარტამენტის ინფორმაციით აღნიშნული გამოწვეული იყო დეპარტამენტის მივლინებების დროს საწვავის მოხმარების აუცილებლობით, თუმცა მივლინების ბრძანებებში არ იყო მითითებული ინფორმაცია, მივლინებისათვის საწვავის გამოყოფის შესახებ (გვ. 33).

8. თბილისის მერიის და ვაკის რაიონული გამგეობის მიერ განხორციელებულ პროგრამაში მონაწილეობასთან დაკავშირებით დევნილთა დეპარტამენტის მიერ ვერ მოხდა დევნილი ბავშვების შერჩევასთან დაკავშირებული შესაბამისი დამუშავებული/გაფილტრული ბაზის წარმოდგენა, რის გამოც ფაქტობრივად შეიქმნა ინფორმაციის მიწოდების გაუმჭვირვალობის, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის არათანაბარი უზრუნველყოფისა და დევნილი ბავშვების არასამართლიანად შერჩევის რისკები (გვ. 34).

9. 2008 წელს აფხაზეთის მთავრობასა და სოლიდარობისა და ინტეგრაციის ფონდ „FINSOL“-თან გაფორმებული მემორანდუმის შესაბამისად ზაფხულობით ესპანეთში უნდა

გამგზავრებულიყვნენ დასასვენებლად აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული (მძიმე ეკონომიური თუ სოციალურ მდგომარეობაში მყოფი) ბავშვები.

ვინაიდან დევნილთა დეპარტამენტი აგვარებდა გასამგზავრებელი ბავშვებისათვის მხოლოდ ტექნიკურ და სამართლებრივ საკითხებს და არ იყო ჩართული ბავშვების შერჩევის პროცესში, ხოლო წლიდან წლამდე ესპანეთში მიემგზავრებოდნენ ძირითადად ერთი და იგივე პირები, ფაქტობრივად შექმნილი იყო პროექტში პოტენციურად მონაწილე ბავშვების არასამართლიანი შერჩევის, არათანაბარი პირობების შექმნისა და ინფორმაციის მიწოდების გაუმჭირვალობის რისკები (გვ. 36).

10. დევნილთა დეპარტამენტში შენობა-ნაგებობის სახანძრო სიგნალიზაციით აღჭურვის ხარჯის არასწორმა კაპიტალიზებამ გამოიწვია აქტივების ნეტო ღირებულების, ხოლო ცვეთის თანხის შემცირებით წმინდა ღირებულების არასწორი ზრდა. ასევე დადგენილი წესით არ იქნა ასახული შესყიდული მატერიალური მარაგების შეძენისა და გასვლის/ხარჯვის ოპერაციები, ხოლო „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებში“ არასწორად დაფიქსირდა „ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ წლის საწყისი და საბოლოო ნაშთები (გვ. 38).

11. იუსტიციის დეპარტამენტში შენობა-ნაგებობის სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის ღირებულება ნაცვლად აქტივად აღიარებისა, ხარჯის სახით ჩამოიწერა „ოფისის ხარჯების“ მუხლით, რამაც გამოიწვია ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივების ნეტო ღირებულების შემცირება, ხოლო ხარჯების ნეტო თანხის ზრდით შემცირდა წმინდა ღირებულება. გარდა აღნიშნულისა დაფიქსირდა ექსპლუატაციაში მყოფი მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების არასწორად აღრიცხვის შემთხვევები (გვ. 40).

12. სოფლის მეურნეობის დეპარტამენტში ადგილი ჰქონდა მატერილური მარაგების (ფულადი დოკუმენტების) შესახებ ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას (გვ. 43).

13. დევნილთა დეპარტამენტში თანამშრომლების მიერ ხშირად ირღვეოდა შინაგანაწესით განსაზღვრული სამსახურში გამოცხადებისა და წასვლის დრო, რასაც დეპარტამენტის მხრიდან ეფექტიანი რეაგირება არ მოჰყოლია. აღნიშნულიდან გამომდინარე სათანადოდ/სრულყოფილად არ იყო უზრუნველყოფილი თანამშრომელთა ყოველდღიური სამუშაო დროის ზუსტი აღრიცხვა/კონტროლი, რაც საბოლოო ჯამში ქმნიდა სამუშაო დროის რეალურად აღრიცხვისა და აქედან გამომდინარე ხელფასების არასწორად დარიცხვის რისკებს (გვ. 44).

14. მიუხედავად იმისა, რომ იუსტიციის დეპარტამენტში დამონტაჟებული იყო ელექტრონული გასაღების სისტემა, რომელიც საშუალებას იძლეოდა მაღალი სიზუსტით დაფიქსირებულიყო თანამშრომლების სამსახურში გამოცხადების ყოველდღიური შემოსვლისა და გასვლის ზუსტი დრო, დეპარტამენტი არ იყენებდა ამ სისტემას თანამშრომელთა სამსახურში მოსვლა-წასვლის კონტროლის მიზნით და იმ პირობებში, როდესაც სამუშაო დროისა და სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის ფორმად გამოყენებული ჟურნალი წარმოადგენდა ხელფასის დარიცხვის საფუძველს, ხოლო იუსტიციის დეპარტამენტში აღრიცხვა ამ კუთხით ხასიათდება ნაკლოვანებებით, წარმოიშობოდა რისკი იმისა, რომ ხელფასების დარიცხვა-გაცემა განხორციელებულიყო არარეალური (არასწორი) მონაცემების საფუძველზე(გვ. 45).

15. იუსტიციის დეპარტამენტი არ ახდენდა თანამშრომელთა დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების გაანგარიშებას და მათი შესაბამისი - „დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების“ გაცემას. ნაცვლად აღნიშნულისა, დეპარტამენტი თანამშრომელთა დროებითი შრომისუუნარობის დროს სრულად გასცემდა ყოველთვიურ ანაზღაურებას „თანამდებობრივი სარგოს“ სახით, რითაც ირღვეოდა კანონმდებლობის მოთხოვნები(გვ. 47).

16. მოქმედი მარეგულირებელი კანონით პრემიის გაცემის უფლებამოსილების შესაბამისად საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირებზე პრემიის გაცემის საკითხის ინიცირების უფლება აქვს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელს, ხელმძღვანელ თანამდებობის პირს და ზემდგომ თანამდებობის პირს, თუმცა იუსტიციის დეპარტამენტში არცერთ შემთხვევაში არ ფიქსირდება კონკრეტულ თანამშრომელზე შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის, ხელმძღვანელი თანამდებობის პირის ან/და ზემდგომი თანამდებობის პირის მიერ პრემიის გაცემის საკითხის ინიცირებები(გვ. 49).

17. სოფლის მეურნეობის დეპარტამენტში თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადებისა და წასვლის ჟურნალის წარმოება, რომელიც წარმოადგენს სამუშაო დროის გამოყენებისა და ხელფასის გაანგარიშების აღრიცხვის ტაბელის შედგენის საფუძველს, არ ხდებოდა მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით, რაც სრულად და ეფექტიანად ვერ უზრუნველყოფდა თანამშრომელთა სამუშაო დროის კონტროლს, რის გამოც წარმოიშობოდა რისკი იმისა, რომ ხელფასების დარიცხვა-გაცემა განხორციელებულიყო არარეალური (არასწორი) მონაცემების საფუძველზე(გვ. 50).

18. დევნილთა დეპარტამენტში ჩატარებული ძირითადი საშუალებებისა და მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია არ აკმაყოფილებდა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს. კერძოდ, ვერ გამოვლინდა აღურიცხავი მატერიალური მარაგების ფაქტობრივი ნაშთი და „ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში“ ზედმეტად აღრიცხული მარაგები. ასევე ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა აქტივების ადგილმდებარეობისა და მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიხედვით და არ გამოვლენილა დეპარტამენტის მიერ ფაქტობრივად გამოუყენებელი, არასრულფასოვანი და უვარგისად ქცეული ყველა აქტივი (გვ. 51).

19. იუსტიციის დეპარტამენტში ჩატარებული ძირითადი საშუალებებისა და მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციისას გამოვლინდა, რომ დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული ძირითადი და მცირეფასიანი აქტივები, რომლებსაც დეპარტამენტი არ იყენებს მათი უვარგისი მდგომარეობიდან გამომდინარე, არც აუდიტის პერიოდში ჩატარებულ ინვენტარიზაციის შედეგებში და არც 2017 წლის ბოლოს ჩატარებულ სავალდებულო ინვენტარიზაციის შედეგებში არ არის ასახული ცალკე, როგორც გამოსაყენებლად უვარგისი აქტივები. ასევე მიმდინარე აუდიტის პროცესში გამოვლინდა ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგებში დაუფიქსირებელი მატერიალური მარაგების ნაშთი, რომელიც არ იყო ასახული დეპარტამენტის ბალანსზე. (გვ. 52).

20. სოფლის მეურნეობის დეპარტამენტში ჩატარებული ძირითადი საშუალებებისა და მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციისას გამოვლინდა, რომ დეპარტამენტში მატერიალური მარაგების მიღება-გასვლაზე არ იყო განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი, რაც კონტროლის სისუსტეზე მეტყველებს. ასევე საანგარიშგებო პერიოდისათვის ბალანსზე ირიცხებოდა ისეთი არაფინანსური აქტივები, რომელთა ფიზიკური მდგომარეობის შემოწმება ვერ მოხდა საინვენტარიზაციო კომისიის მიერ, რადგან აქტივები იმყოფებოდა გალის რაიონში რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, შესაბამისად ვერ დასტურდება აღნიშნული აქტივების არსებობა (გვ. 54).

21. სოფლის მეურნეობის დეპარტამენტში ჩატარებული რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა რისკის ანალიზისა და შეფასების სამსახური, რომელიც ყოველგვარი სამართლებრივი (კანონიერი) საფუძვლის გარეშე, განთავსებულია აფხაზეთის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სარგებლობაში არსებულ ფართზე. ამასთანავე აღნიშნული ქონების სარგებლობაში გადაცემა და საჯარო რეესტრში დარეგისტრირება არ განხორციელებულა (გვ. 55).

22. სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის ფინანსური ანგარიშგებაში ასახული არაფინანსური აქტივების დანაკლისებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები წარმოადგენს ოკუპაციის დროს დაკარგული მოძრავი ქონების საბალანსო ღირებულებას, რომელიც არ აკმაყოფილებს დებიტორულ დავალიანებად (დანაკლისად) აღიარების კრიტერიუმებს. ვინაიდან არსებობს რისკი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები (მოძრავი ქონება) უკვე ფაქტობრივად არარსებულ ქონებას წარმოადგენს და დეპარტამენტი ვერ დაიბრუნებს კონტროლს დანაკლისებად აღიარებულ აქტივებზე. შესაბამისად მოქმედი კანონდებლობით უნდა მომხდარიყო სათანადო ღონისძიებების გატარება, რაც არ განხორციელებულა (გვ. 56).

23. დევნილთა დეპარტანეტის მიერ აფხაზეთის ა/რ რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან აფხაზეთიდან დევნილ პირებზე გაიცემოდა სოციალური დახმარებები. აღნიშნული განაცემების საფუძველს წამოადგენდა აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის მიერ გამოცემული ბრძანებები. გამომდინარე იქიდან, რომ სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდა აფხაზეთის ა/რ მთავრობაში და დეპარტამენტი აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ფუნქციონალურად მონაწილეობას არ იღებდა, იგი შესაბამისად არ ფლობდა დახმარებების მიზნობრივად გამოყოფის საფუძველების ამსახველ დოკუმენტაციას (გვ. 57).

24. სოფლის მეურნეობის დეპარტამენტს 2017 წელს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად არ დაუმტკიცებია მის დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ „გამწვანებისა და გარემოსდაცვითი პროექტების სააგენტოს“ მიერ წარმოადგენილი კვარტალური და წლიური ფინანსური ანგარიშები, რაც მიუთითებს დეპარტამენტში შესაბამისი კონტროლების არარსებობაზე. (გვ. 58).

რეკომენდაციები

რეკომენდაცია N1:

დევნილთა დეპარტამენტში შტატგარეშე (შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული) მოსამსახურეების დასაქმება განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად, რითაც უზრუნველყოფილი იქნება საბიუჯეტო სახსრების ეკონომიური და ეფექტიანი ხარჯვა.

რეკომენდაცია N2:

დევნილთა დეპარტამენტმა შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებით შეიმუშაოს კონკრეტული პროცედურები (პოლიტიკა) და შესყიდვების განხორციელებამდე ჯეროვნად შეისწავლოს და გაითვალისწინოს მიმწოდებლის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა შესაძლო/რელევანტური მონაცემი და ინფორმაცია, რაც უზრუნველყოფს არასასურველი რისკების თვიდან აცილებას.

რეკომენდაცია N3:

შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში შესაბამისი დოკუმენტაციის დროულად ატვირთვის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად დევნილთა დეპარტამენტში განხორციელდეს მონიტორინგისა და კონტროლის სისტემის სრულყოფა. ასევე პირველადი დოკუმენტების (მიღება-ჩაბარების აქტების) გაფორმება განხორციელდეს საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების თაობაზე მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების მიხედვით.

რეკომენდაცია N4:

იუსტიციის დეპარტამენტის მიერ შესყიდვის განხორციელებამდე სწორად განისაზღვროს შესყიდვის მიზნობრიობა, ხოლო შესყიდვის შემდეგ განხორციელდეს გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე კონტროლი, რაც ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივად, ეკონომიურად და ეფექტიანად ხარჯვას.

რეკომენდაცია N5:

დადგენილი წესის საფუძველზე, დევნილთა დეპარტამენტში "სამსახურეობრივი ავტომატანების მიმოსვლის მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალში" ზუსტი და სათანადო მონაცემების დაფიქსირებითა და საწვავის ხარჯვის კონტროლის რეალური მექანიზმების შექმნით, განხორციელდეს ავტომატანების გადაადგილებისა და ექსპლუატაციის მკაცრი კონტროლი, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივად და ეფექტიანად ხარჯვას.

რეკომენდაცია N6:

იუსტიციის დეპარტამენტში შემუშავდეს შესაბამისი ეფექტური კონტროლის მექანიზმი საწვავის დადგენილი წესით (დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ გამოცემული საწვავის ლიმიტის ბრძანება) ხარჯვის გასაკონტროლებლად.

რეკომენდაცია N7:

სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მიერ შემუშავდეს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც ხელს ეუწყობს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ წინასწარ, წლის დასაწყისში, შესაბამისი ბრძანებით დადგენილი საწვავის მოხმარების ლიმიტების დაცვას.

რეკომენდაცია N8:

ყველა შესაძლო ინტერნეტ და საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით დევნილთა დეპარტამენტში შემუშავდეს იგპ-თათვის მიმდინარე პროგრამების შესახებ შეტყობინების ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს პროცესის მეტ სამართლიანობას, გამჭვირვალობას და იგპ-თა მაქსიმალურ ჩართულობას.

რეკომენდაცია N9:

დევნილთა დეპარტამენტმა, გამომდინარე იქიდან, რომ ესპანეთში ორი თვით გამგზავრება მნიშვნელოვან ხარჯებთან არის დაკავშირებული, ესპანეთის მხარესთან კომუნიკაციის შედეგად უფრო აქტიურად და თემატურად უზრუნველყოს საკითხის აქტუალობის

განხილვა და აქედან გამომდინარე ყველა ობიექტური მიზეზის გაცნობა და ისეთი სამართლიანი მექანიზმის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს დევნილი ბავშვების შერჩევის პროცესის გამჭვირვალობასა და საორგანიზაციო და სამართლებრივი საკითხების მოგვარებისთვის თანხების უფრო ეფექტიანად ხარჯვას.

რეკომენდაცია N10:

დევნილთა დეპარტამენტის მიერ უზრუნველყოფილი იქნეს აქტივისა და მისი კუთვნილი ცვეთის სწორად ასახვა. ასევე დადგენილი წესის მიხედვით აისახოს დეპარტამენტის მიერ შეძენილი მატერიალური აქტივების მიღება და გასვლა.

რეკომენდაცია N11:

იუსტიციის დეპარტამენტის მიერ უზრუნველყოფილი იქნეს აქტივისა და მისი კუთვნილი ცვეთის სწორად ასახვა. ასევე დადგენილი წესის მიხედვით აისახოს დეპარტამენტის მიერ შეძენილი მატერიალური აქტივების მიღება და გასვლა.

რეკომენდაცია N12:

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მოხდეს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მიერ მატერიალური მარაგების (ფულადი დოკუმენტების) აღრიცხვა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა.

რეკომენდაცია N13:

დევნილთა საქმეების დეპარტამენტის მხრიდან განხორციელდეს თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადებისა და წასვლის დროის რეალური კონტროლი და ტაბელის, რომელიც თავის მხრივ შრომის ანაზღაურების საფუძველს წარმოადგენს, რეალურ მონაცემებზე დაყრდნობით წარმოება.

რეკომენდაცია N14:

იუსტიციის დეპარტამენტის მიერ შრომის დისციპლინის მოწესრიგებისა და ხელფასის გაცემის მეტი სანდოობისათვის უზრუნველყოფილ იქნეს თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადების კონტროლის გაძლიერება.

რეკომენდაცია N15:

იუსტიციის დეპარტამენტში თანამშრომელთა დროებითი შრომისუნარობის გამო დახმარების გაანგარიშებას და გაცემა განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

რეკომენდაცია N16:

იუსტიციის დეპარტამენტში პრემიების გაცემა განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

რეკომენდაცია N17:

სოფლის მეურნეობის დეპარტამენტში ხელფასის დარიცხვის საფუძვლების კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, მოხდეს სამუშაოზე გამოცხადების ჟურნალის წესის შესაბამისად წარმოება ან სპეციალური ტექნიკური საშუალების გამოყენება.

რეკომენდაცია N18:

დევნილთა დეპარტამენტმა ინვენტარიზაციის ჩატარებისას იხელმძღვანელოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებით და უზრუნველყოს მატერიალური მარაგების ფაქტობრივი ნაშთების დადგენა, საცნობარო მუხლებზე აღრიცხული აქტივების ნაშთების სიზუსტე, ინვენტარიზაციის ჩატარება ადგილმდებარეობისა და პასუხისმგებელი პირების მიხედვით და მოახდინოს ინვენტარიზაციის შესაბამისად დადგენილი გამოუყენებელი, არასრულფასოვანი და უვარგისად ქცეული აქტივების შესახებ აქტის შედგენა.

რეკომენდაცია N19:

მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით განხორციელდეს იუსტიციის დეპარტამენტში გამოსაყენებლად უვარგისი აქტივების ჩამოწერა. იუსტიციის დეპარტამენტმა ინვენტარიზაციის ჩატარებისას იხელმძღვანელოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებით, ხოლო მარაგების შემოსვლა და გასვლა კანონმდებლობით დადგენილ შესაბამის ფორმებში დროულად და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აღირიცხოს მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიხედვით.

რეკომენდაცია N20:

მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით შემუშავდეს და დაინერგოს მატერიალური მარაგების აღრიცხვიანობის ქმედითი კონტროლის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის ბალანსზე არსებული აქტივების არსებობისა და სისრულის დადასტურებას კანონმდებლობის შესაბამისად.

რეკომენდაცია N21:

მოხდეს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მიერ უძრავი ქონების გამოყენების მოქმედი კანონმდებლობის ჩარჩოში მოქცევა, კერძოდ, უკვე დაკავებულ ფართზე განთავსების ნორმატიული აქტის შესაბამისად განსაზღვრული ღონისძიებების გატარება ან დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულისათვის ახალი ფართის გამოყოფა.

რეკომენდაცია N22:

სოფლის მეურნეობის დეპარტამენტში მოხდეს დებიტორულ დავალიანებად აღიარებული აქტივების ამოღების ალბათობის შეფასება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელდეს ადეკვატური რეაგირება.

რეკომენდაცია N23:

მაღალი გამჭვირვალობისა და სისრულის უზრუნველსაყოფად, სოციალური დახმარებები გაიცეს იმ უწყების მიერ, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას დაფინანსების შესახებ და ახორციელებს ძირითად პროცედურებს. აღნიშნული საკითხის მოგვარების მიზნით, დევნილთა დეპარტამენტმა შესაბამისი ღონისძიებების გასატარებლად მიმართოს მის ზემდგომ მაკონტროლებელ ორგანოს.

რეკომენდაცია N24:

სოფლის მეურნეობის დეპარტამენტმა უზრუნველყოს შესაბამისი კონტროლების დაწესება და სსიპ-ების მიერ წარმოდგენილი კვარტალური და წლიური ანგარიშების ნორმატიული აქტით დადგენილი წესის შესაბამისად დამტკიცება.

შესავალი

1.1 ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის, იუსტიციის დეპარტამენტის და სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. დეპარტამენტები ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამოებს.

1.2 აუდიტორის პასუხისმგებლობა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის, იუსტიციის დეპარტამენტის და სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტი წარიმართა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ISSAI 4000), რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას იმ მიზნით, რათა მიღებული იქნას გონივრული რწმუნება იმასთან დაკავშირებით, შეესაბამება თუ არა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის, იუსტიციის დეპარტამენტის და სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

აუდიტი ჩატარდა შერჩევის პრინციპზე დაყრდნობით. სახელმწიფო აუდიტის სამსახური არ ამოწმებს ყველა ფინანსურ ოპერაციას. აუდიტის ანგარიში და დასკვნა არ წარმოადგენს

საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამოები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად აუდიტორული დასკვნის გამყარების მიზნით. პროცედურები შეირჩევა აუდიტორული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს არსებითი რისკების შეფასებას. ჩვენ მიერ განხორციელებული აუდიტორული პროცედურები შესაფერისია არსებული გარემოებისთვის.

1.3 აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა:

- 2017 წელს საქმიანობის განსახორციელებლად მიღებული დაფინანსება, მიმდინარე და კაპიტალიზირებული ხარჯები;
- მატერიალური ფასეულობების გამოყენებისა და ხარჯვის მდგომარეობა.

1.4 აუდიტის მასშტაბი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის, იუსტიციის დეპარტამენტის და სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის მიერ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტი, რომელმაც მოიცვა 2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 იანვრამდე პერიოდი.

1.5 გამოყენებული კრიტერიუმები

- საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“;

- საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“;
- საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულება „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის №422 განკარგულება „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის №449 დადგენილება „საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 21 დეკემბრის N439 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქცია;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანება „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 30 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ შესახებ;

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის ბრძანება №7 „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესი“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის ბრძანება №12-ის „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება №13 გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 13 მარტის დადგენილება - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 18 სექტემბრის №39 დადგენილება - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 25 სექტემბრის N 28 დადგენილება - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ადმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში სამსახურებრივი ავტომატქანების გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 7 ნოემბრის №49 დადგენილება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 7 აგვისტოს №34 დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“;

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 4 მაისის №5 დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2014 წლის 29 აგვისტოს №106 ბრძანება "აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელის 2014 წლის 14 აგვისტოს №56 ბრძანება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის ხელმძღვანელის 2014 წლის 20 აგვისტოს №40 ბრძანება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“.

1.6 აუდიტის მიზანი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის მიერ 2017 წელს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტის მიზანია:

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანთან დაკავშირებული ინფორმაცია სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის, აუდიტის მასშტაბიდან გამომდინარე, ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნების და სადაც შესაფერისია - რეკომენდაციების შესახებ.

1.7 ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის საქმიანობის შესახებ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტი:

დეპარტამენტის მმართველობის სფეროსა და ძირითად ამოცანებს განეკუთვნება: აფხაზეთის მთავრობისა და აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარისათვის წინადადებებისა და შესაბამისი დასკვნების წარდგენის მიზნით, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირის პრობლემების გადაჭრის საკითხებში არსებული საერთაშორისო, სამთავრობო, საზოგადოებრივი და აკადემიური გამოცდილების, პროგრამებისა და ინიციატივების, კვლევებისა და მოსაზრებების შეგროვება, გაანალიზება და შეჯერება; დევნილი მოსახლეობის ყოფის გაუმჯობესების ხელშეწყობისა და პრობლემების გადაჭრის მიზნით მთავრობასთან, ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან კოორდინირებული ურთიერთობა; დევნილთა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში სრულფასოვნად ჩართვისათვის წინადადებებისა და პროექტების შემუშავება. მთავრობის გამგებლობაში არსებული დაწესებულების - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის (შემდგომში - წარმომადგენლობა) მართვა, წარმომადგენლობის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო - ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობა¹.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტი:

დეპარტამენტის მმართველობის სფეროსა და ძირითად ამოცანებს განეკუთვნება: სამართალშემოქმედება და შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ში გამოსაქვეყნებლად წარდგენა; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო საქმიანობის განხორციელება; კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან (აფხაზეთიდან) იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სამართლებრივი ხასიათის პრობლემების გადაწყვეტაში ხელშეწყობა;

¹ დევნილთა დეპარტამენტის აღნიშნული ამოცანა არ არის შესწავლილი მოცემული აუდიტის ფარგლებში მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე და მისი შესწავლა ცალკე აუდიტის საგანს წარმოადგენს.

*აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და
ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტი:*

დეპარტამენტის მმართველობის სფეროსა და ძირითად ამოცანებს განეკუთვნება: სოფლად
მცხოვრებ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და აფხაზეთის
ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური
მდგომარეობის გაუმჯობესება მათი დასაქმების ხელშეწყობით. აღნიშნული მიზნით
აგრარულ სექტორში და მომსახურების სფეროში მიზნობრივი პროექტების შემუშავებაში
აქტიური ჩართულობა; თავისი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამის სახელმწიფო
უწყებებთან თანამშრომლობა იძულებით გადაადგილებულ პირთა დასაქმების
ხელშეწყობის მიზნით; აფხაზეთიდან დევნილთა და ადგილობრივი მოსახლეობის
ინტეგრირების ხელშეწყობი პროექტების შემუშავებასა და განხორციელებაში აქტიური
მონაწილეობა; დროებითი გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის
ერთობლივი საქმიანობის ხელშეწყობი პროექტების შემუშავებაში ჩართულობა და
პროექტების იმპლემენტატორებთან ურთიერთთანამშრომლობა;

2. აუდიტის მიგნებები

2.1 შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტი:

გამოვლენილი გარემოებები

2017 წელს, ისევე როგორც 2016 წელს, დევნილთა დეპარტამენტში შრომითი ხელშეკრულებით (შტატგარეშე) დასაქმებული იყო 5 პირი, რაც შტატით მომუშავეთა საშუალო რიცხოვნობის, 46 ერთეულის, 11%-ს შეადგენდა. აღნიშნული პირები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა მიუხედავად², რომელიც გულისხმობს, რომ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს მინიჭებული უნდა ჰქონდეს საჯარო დაწესებულების დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესრულების უფლებამოსილება, დასაქმებული იყვნენ მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად 11-12 თვის ვადით და მათზე სულ ჯამში გაიცა 55,282.68 ლარის ანაზღაურება, მათ შორის, პრემია – 472.00 ლარი და დეკრეტული შვებულების თანხა – 2,561.60 ლარი.

დეკრეტული შვებულება

2017 წელს ერთ შტატგარეშე თანამშრომელზე ანაზღაურებულ იქნა დეკრეტული შვებულების თანხა 2,561.60 ლარის ოდენობით, სახაზინო მუხლიდან „დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება – ფულადი ფორმით“. აღნიშნულ პიროვნებასთან 2017 წელს სამი ხელშეკრულება გაფორმდა³. მესამე ხელშეკრულება დაიდო პირველი ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით და ითვალისწინებდა შემდეგს: თანამშრომელს ქართულიდან რუსულ ენაზე უნდა ეთარგმნა ომის დაწყებიდან და შემდგომ წლებში აფხაზეთის ტერიტორიაზე უგზო-უკვლოდ დაკარგულთა და დახვრეტილი მშვიდობიანი მოსახლეობის სიები გამოსაცემი წიგნისათვის – „აფხაზეთის ტრაგედია საერთაშორისო სამსჯავროზე“⁴. თუმცა აღნიშნული თანამშრომელი დეკრეტულ შვებულებაში გავიდა 18 დღის შემდეგ 19 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით და ხელშეკრულების მოქმედების

² საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ მე-3 მუხლის „ვ“ პუნქტი.

³ 2017 წლის 3 იანვრის № 06-პ/შ ბრძანება (პერიოდზე – 3 იანვრიდან 28 თებერვლის ჩათვლით), 2017 წლის 3 აპრილის №24 - პ/შ ბრძანება (პერიოდზე – 3 აპრილიდან 30 ივნისის ჩათვლით), 2017 წლის 30 ივნისის №20 (პერიოდზე – 1 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით).

⁴ „აფხაზეთის ტრაგედია საერთაშორისო სამსჯავროზე“ - ავტორი ჯ. გამახარია.

ვადის ამოწურვამდე დაერიცხა დეკრეტული შვებულების თანხა 2,561.60 ლარის ოდენობით.

2016 წლის 18 ნოემბერს დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარის №27 ბრძანების საფუძველზე შედგა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში განხორციელებული ეთნიკური წმენდისა და გენოციდის მსხვერპლთა მონაცემების დახვეწა-დაზუსტება. სამუშაო ჯგუფი შედგებოდა 8 თანამშრომლისგან და იმ თანამშრომლის ვალდებულებები, რომელიც გავიდა დეკრეტულ შვებულებაში, გაინაწილეს სწორედ ამ პროექტში ჩართულმა სხვა თანამშრომლებმა.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით⁵, საბიუჯეტო ორგანიზაციებს მოეთხოვებათ სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენება. აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, დაწესებულებამ შრომითი ხელშეკრულების გაფორმებამდე ან/და კონკრეტული მომსახურების შეძენამდე უნდა იმსჯელოს შესაბამისი მიზნების საკუთარი რესურსებით მიღწევის შესაძლებლობაზე და ასეთის არარსებობის შემთხვევაში გამოიყენოს გარე რესურს(ებ)ი.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებიდან იკვეთება, რომ აღნიშნული დავალება (თარგმნა) შესრულდა დაწესებულების შიდა რესურსების გამოყენებით, რაც გამორიცხავს ამ კონკრეტულ შემთხვევაში შრომითი ხელშეკრულების დადების აუცილებლობას და იმის გათვალისწინებით, რომ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო ვერ განხორციელდებოდა შესაბამის ვადებში (რაც დაწესებულებისათვის წინასწარ იყო ცნობილი), დასტურდება რესურსების არაეკონომიური და არაპროდუქტიული გამოყენება, აგრეთვე შტატგარეშე მოსამსახურეების დაქირავება მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად ეწინააღმდეგება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

დასკვნა

დევნილთა დეპარტამენტში შტატგარეშე (შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული) მომუშავეთა დასაქმების ანალიზი ცხადყოფს, რომ სწორად არ განისაზღვრება საჭიროებები, არ ხორციელდება შიდა რესურსების პოტენციალის და გამოყენების

⁵ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი.

შესაძლებლობების ანალიზი, რაც რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

კანონმდებლობის შესაბამისად, შტატგარეშე (შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული) პირი სამსახურში მიიღება არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად, თუმცა დევნილთა დეპარტამენტში შტატგარეშე (შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული) მომუშავეთა დასაქმების ანალიზი ცხადყოფს, რომ მათ მიერ შესასრულებელ ფუნქცია-მოვალეობებს გააჩნია მუდმივი ხასიათი და მათი დასაქმება ხდება მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. გარდა ამისა, დინამიკაში (2016 წელთან შედარებით) ამ მხრივ მდგომარეობა შეცვლილი არაა.

რეკომენდაცია

დევნილთა დეპარტამენტში მოხდეს საჭიროებების სწორად განსაზღვრა და შიდა რესურსების პოტენციალის და გამოყენების შესაძლებლობების ანალიზი. შტატგარეშე (შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული) მოსამსახურეების დასაქმება განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, მხოლოდ არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად, რითაც უზრუნველყოფილი იქნება საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად და ეფექტიანად ხარჯვა.

2.2 სახელმწიფო შესყიდვები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტი:

შპს „ბედი+“ და შპს „ბედი.ჯი“-სთან გაფორმებული ხელშეკრულებები

გამოვლენილი გარემოებები

2017 წელს დეპარტამენტის მიერ შპს „ბედი+“-თან მარტის თვიდან წლის ბოლომდე გაფორმებული №22 და №23 ხელშეკრულებების საფუძველზე, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენდა 2,000.00 ლარს, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ივლისის ჩათვლით განხორციელდა 733.85 ლარის კომპიუტერული მოწყობილობებისა და

აქსესუარების⁶, ელემენტების⁷, კარტრიჯების⁸ სახელმწიფო შესყიდვა. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 22 მაისის განკარგულების საფუძველზე, აღნიშნული შპს დარეგისტრირდა შავ სიაში⁹, რის შემდეგაც მას ეკრძალება ერთი წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო შესყიდვაში და დადოს ხელშეკრულება. მიუხედავად იმისა, რომ შავ სიაში მოხვედრა არ ნიშნავს ავტომატურად ხელშეკრულების გაუქმებას, 2017 წლის 3 ნოემბერს, დეპარტამენტის თავმჯდომარესა და შპს „ბე-დი“-ის გენერალურ დირექტორს შორის გაფორმებული შეთანხმების ოქმის საფუძველზე, შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში შპს „ბე-დი“-ის მოხვედრის გამო, მოხდა ხელშეკრულებების გაუქმება.

თუმცა დეპარტამენტმა მისთვის წინასწარ ცნობილი ინფორმაციის მიუხედავად, იმავე წლის 9 ნოემბერს იმავე დანაყოფის კოდეზზე: 302 და 314, დადო ახალი, 700.00 ლარის ღირებულების ხელშეკრულება N47, შპს „ბედი.ჯი“-სთან, რომლის დირექტორად და მესაკუთრედ მიღება-ჩაბარებების და სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, ფიქსირდება ერთი და იგივე პიროვნება (ანუ შავ სიაში რეგისტრირებული შპს „ბე-დი“-ის დირექტორი და მესაკუთრე). გარდა აღნიშნულისა, წლის ბოლომდე დარჩენილ პერიოდში უნდა განხორციელებულიყო ხელშეკრულების შესაბამისად 700.00 ლარის შესყიდვა, მაგრამ მხოლოდ 499.00 ლარის გამარტივებული შესყიდვა განხორციელდა, რაც შესყიდვების არასათანადო დაგეგმვაზეც მიუთითებს.

დასკვნა

ზემოაღნიშნული გარემოება მიუთითებს, დევნილთა დეპარტამენტის მხრიდან ერთი კონკრეტული მიმწოდებლისგან, კერძოდ, ერთი და იმავე პიროვნების საკუთრებაში მქონე სხვადასხვა ორგანიზაციისგან (მათ შორის, ერთი - რეგისტრირებული შავ სიაში) შესყიდვის განხორციელების დაინტერესებისა და/ან სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით დაკისრებული მოვალეობებისადმი არასათანადო დამოკიდებულების რისკზე. გარდა ამისა, მიუხედავად კონკრეტული მიმწოდებლის მხრიდან კონკრეტულ შესყიდვასთან დაკავშირებით ვალდებულებების შესრულებისა, მაინც არსებობდა რისკი

⁶ CPV კოდი 30200000 – კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები.

⁷ CPV კოდი 31400000 – აკუმულატორები, დენის პირველადი წყაროები და პირველადი ელემენტები.

⁸ CPV კოდი 30100000 – საოფისე მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერების, პრინტერების და ავეჯის გარდა.

⁹ 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანების „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მე-9 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტები.

იმისა, რომ არაკეთილსინდისიერი ქმედების გამო, შავ სიაში რეგისტრირებული ორგანიზაცია და შესაბამისად, მისი წარმომადგენლის დაქვემდებარების ქვეშ მყოფი იმავე საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაცია ვერ ან/და არაჯეროვნად შეასრულებდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

რეკომენდაცია

დევნილთა დეპარტამენტმა შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებით შეიმუშაოს კონკრეტული პროცედურები (პოლიტიკა) და შესყიდვების განხორციელებამდე ჯეროვნად შეისწავლოს და გაითვალისწინოს მიმწოდებლის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა შესაძლო მონაცემი და ინფორმაცია, რაც უზრუნველყოფს არასასურველი რისკების თავიდან აცილებას.

შესყიდვების დოკუმენტაცია

გამოვლენილი გარემოებები

2017 წელს დევნილთა დეპარტამენტის მიერ გაფორმებული 64 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (მიღება-ჩაბარების აქტი და საგადახდო მოთხოვნა) 103 შემთხვევაში ელექტრონული სისტემის CMR მოდულში ატვირთული იყო დაგვიანებით¹⁰.

2017 წელს დეპარტამენტის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების (მიღება-ჩაბარებების აქტების) შესწავლით გამოვლინდა ხარვეზები. კერძოდ, 14 შემთხვევაში არ ფიქსირდება მიმწოდებლის მხრიდან უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი და გვარი, რომლის იდენტიფიცირება მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით ხშირ შემთხვევაში არ დასტურდება.

დასკვნა

დევნილთა დეპარტამენტის მიერ შესრულება/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთვის ვადების დარღვევა და ხელშეკრულების

¹⁰ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანების „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტი.

შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების მომზადების მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შეუსაბამობა – მიუთითებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესყიდვებთან დაკავშირებით არსებული ანგარიშგების წესის მოთხოვნების დაუცველობაზე, რაც, თავის მხრივ, არ იძლევა მომხმარებლებისათვის ინფორმაციის დროულად მიწოდების შესაძლებლობას.

რეკომენდაცია

დევნილთა დეპარტამენტში შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებით შემუშავდეს კონკრეტული პროცედურები (პოლიტიკა). შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში შესაბამისი დოკუმენტაციის დროულად ატვირთვის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, განხორციელდეს მონიტორინგისა და კონტროლის სისტემის სრულყოფა, ასევე პირველადი დოკუმენტების (მიღება-ჩაბარების აქტების) გაფორმება განხორციელდეს საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების თაობაზე მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების მიხედვით¹¹.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტი:

ახალი ამბების სააგენტოს მომსახურების შესყიდვა

გამოვლენილი გარემოებები

2017 წლის 29 ივნისს იუსტიციის დეპარტამენტმა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით საინფორმაციო სააგენტო „თაიმერთან“ გააფორმა 2,100.00 ლარის ღირებულების (ყოველთვიური გადასახადი – 350.00 ლარი) ხელშეკრულება, რომელსაც უნდა განეთავსებინა დამკვეთის მიერ მიწოდებული სიახლეები ვებგვერდზე: www.timer.ge შეუზღუდავი რაოდენობით და ასევე დამკვეთისთვის მნიშვნელოვანი და საინტერესო თემების შესახებ მოემზადებინა ინტერვიუები და კომენტარები გასავრცელებლად. იმავე წლის 15 სექტემბერს იუსტიციის დეპარტამენტსა და შპს „თაიმერს“ შორის გაფორმდა შეთანხმების აქტი¹² და მოხდა უკვე არსებული ხელშეკრულების კორექტირება მხოლოდ

¹¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №449 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების“ დანართის ფორმა Nძა-1.

¹² აფხაზეთის ა/რ იუსტიციის დეპარტამენტსა და შპს „თაიმერს“ შორის 2017 წლის 15 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმების აქტი.

ღირებულების მუხლში – 2,300.00 ლარით (თვეში 400.00 ლარის ოდენობით), ხოლო დანარჩენი მუხლები დარჩა უცვლელი. აღნიშნული შესყიდვის ხელშეკრულებისა და მასთან დაკავშირებით გაწეული მომსახურების შესწავლით დადგინდა, რომ დეპარტამენტისთვის სააგენტოს საერთოდ არ მოუმზადებია ინტერვიუ ან/და კომენტარები, რომელიმე თემასთან დაკავშირებით და არც რაიმე სახის გამოკითხვა განუთავსებია ვებგვერდზე, რაც ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა¹³. მიუხედავად იმისა, რომ საინფორმაციო სააგენტოს მიერ წლის განმავლობაში ვებგვერდზე გამოქვეყნებული იყო დეპარტამენტის მიერ მიწოდებული მხოლოდ ერთი ინფორმაცია ნოემბერში, მაშინ როდესაც, მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარებების აქტების საფუძველზე უნდა მომხდარიყო არა ერთი ინფორმაციის, არამედ ინფორმაციების მიწოდება-ჩაბარება (რაც ფაქტობრივად არ განხორციელებულა) შპს „თაიმერს“ ივლისიდან წლის ბოლომდე დეპარტამენტისათვის გაწეული მომსახურებისთვის ერიცხებოდა ყოველთვიური გადასახადი, რამაც საბოლოო ჯამში შეადგინა 2,300.00 ლარი. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ დეპარტამენტისგან მიწოდებული ინფორმაციით, ხელშეკრულების ღირებულების გაზრდის საფუძველი გახდა შპს „თაიმერის“ მიერ შეთავაზებული ახალი პირობები, თუმცა ხელშეკრულების ცვლილებასთან დაკავშირებით გაფორმებულ შეთანხმების აქტში მსგავსი რაიმე ახალი პირობები მითითებული არ არის და ასახულია მხოლოდ ხელშეკრულების ღირებულების ზრდა, რაც დაუშვებელია მოქმედი კანონმდებლობით, თუ ცვლილების შედეგად იზრდება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები¹⁴. ისევე როგორც, არარელევანტურია აღნიშნული ცვლილებების მიზეზი და აუცილებლობა, ვინაიდან დეპარტამენტს სააგენტოს მხრიდან ჯერ კიდევ პირველადი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებაც არ ჰქონდა მიღებული.

დასკვნა

ზემოაღნიშნული ფაქტი მიუთითებს, რომ დეპარტამენტმა შესყიდვის ხელშეკრულება გააფორმა იმ მომსახურების შეძენაზე, რომლის საჭიროება წინასწარ არ ჰქონდა განსაზღვრული, ფაქტობრივად დეპარტამენტისთვის მიმწოდებელს არ გაუწევია ხელშეკრულებით ნაკისრი მომსახურება და არც შემსყიდველს განუხორციელებია მის შესრულებაზე მონიტორინგი. ასევე დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის 21-ე მუხლის მე-5 პუნქტი, რომლის მიხედვით, დაუშვებელია მიმწოდებელთან

¹³ 2017 წლის 29 ივნისის ხელშეკრულება №36-ის „ხელშეკრულების საგანი“.

¹⁴ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის 21-ე მუხლის მე-5 ქვეპუნქტი.

დადებული ხელშეკრულებების პირობების შეცვლა, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. დამატებითი ცვლილებების მიზეზისა და აუცილებლობის არასაკმარისი დასაბუთებულობა და კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა, ქმნიდა შპს „თაიმერთან“ ხელშეკრულების გაფორმების განხორციელების შესაძლო დაინტერესებისა და/ან სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით დაკისრებული მოვალეობებისადმი არასათანადო დამოკიდებულების რისკებს, ხოლო დადებული შესყიდვის მიზნობრიობის ბუნდოვანება ხელს უწყობდა საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიურ და არაეფექტიან ხარჯვას.

რეკომენდაცია

იუსტიციის დეპარტამენტის მიერ შესყიდვის განხორციელებამდე სწორად განისაზღვროს შესყიდვის მიზნობრიობა, ხოლო შესყიდვის შემდეგ განხორციელდეს გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი, რაც ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივად, ეკონომიურად და ეფექტიანად ხარჯვას.

2.3 საწვავის ლიმიტი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტი:

გამოვლენილი გარემოებები

2017 წელს დევნილთა დეპარტამენტის სარგებლობაში არსებული ორი სამორიგეო მანქანის მიერ მოხმარებულმა საწვავმა შეადგინა 3,199.34 ლიტრი. მიუხედავად იმისა, რომ დეპარტამენტის მიერ იწარმოებოდა „სამსახურებრივი ავტომანქანების მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალი“, შესწავლის საფუძველზე გამოვლინდა, რომ იმ პირობებში, როდესაც ზემოაღნიშნულ ჟურნალში შესაბამისი ჩანაწერით ვერ დასტურდება სამორიგეო ავტომანქანების გამოყენების ფაქტები და მათი გაყვანის დანიშნულება, 1,593.16 ლიტრი საწვავის (სულ მოხმარებული საწვავის 50%) ჩასხმა ფიქსირდება არასამუშაო დროს, სადღესასწაულო დღეებში და ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, იმ დროს, როცა მივლინებაში არცერთი თანამშრომელი არ იმყოფებოდა. უფრო მეტიც, ჟურნალში ფიქსირდება ერთი შემთხვევა, როდესაც თანამშრომლები აღნიშნული მანქანით უნდა

ყოფილიყვნენ ქ.თბილისში, ისნის რაიონში (10:30 სთ-დან 14:30 სთ-მდე), ბენზინის ჩასხმა
კი დაფიქსირდა სამტრედიაში – 11:12 სთ-ზე. აღნიშნული ფაქტები მიუთითებს
კონტროლის არარსებობაზე, ჟურნალის წარმოების ფორმალურ ხასიათზე, რაც რეალურად
არ იძლევა ავტომობილების გადაადგილების/ექსპლუატაციისა და რეალური
მარშრუტების ანალიზის საშუალებას.

ამასთანავე, აუდიტის ჯგუფისთვის ვერ იქნა წარმოდგენილი 2016 წელს ნაწარმოები
სამსახურებრივი მიმოსვლის ავტომანქანების მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალი, რათა
მიღებული ყოფილიყო რწმუნება დეპარტამენტის საკუთრებაში არსებული
ავტომანქანების გადაადგილებისა და საწვავის ხარჯვის სამსახურებრივი მოვალეობის
შესრულებასთან შესაბამისობაზე იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული
ხარჯების დაფარვა საკასო მეთოდით განხორციელდა 2017 წლის ასიგნებების ფარგლებში.

მოქმედი კანონმდებლობის¹⁵ შესაბამისად, სამორიგეო ავტომობილი წარმოადგენს ზოგადი
სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე დაკისრებული სამსახურებრივი
მოვალეობების შესრულების ხელშეწყობისთვის განკუთვნილ ავტოსატრანსპორტო
საშუალებას და გამოიყოფა ყოველი კონკრეტული მოთხოვნის საფუძველზე,
დაწესებულების კონკრეტულ თანამშრომელზე, რაც სამსახურებრივი მიმოსვლის
ავტომანქანების მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალით ფაქტობრივად ვერ დასტურდება.

დასკვნა

ამრიგად, დევნილთა დეპარტამენტში საწვავის ხარჯვის კონტროლის მექანიზმის
არასათანადო (არაეფექტიანი) გამოყენებით, ფაქტობრივად იქმნება ავტომანქანების
არამიზნობრივი ექსპლუატაციისა და საწვავის არაეფექტიანი ხარჯვის რისკები.

რეკომენდაცია

დადგენილი წესის საფუძველზე, დევნილთა დეპარტამენტში სამსახურებრივი
ავტომანქანების მიმოსვლის მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალში ზუსტი და სათანადო
მონაცემების დაფიქსირებითა და საწვავის ხარჯვის კონტროლის რეალური მექანიზმების
შექმნით, განხორციელდეს დეპარტამენტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანების

¹⁵ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 25 სექტემბრის №28 დადგენილების
„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში სამსახურებრივი
ავტომანქანების გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-2 მუხლის „დ“ პუნქტი.

გადაადგილებისა და ექსპლუატაციის მკაცრი კონტროლი, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივად და ეფექტიანად ხარჯვას.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტი:

გამოვლენილი გარემოებები

იუსტიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 03 იანვრის №2/ა/ს ბრძანებით განისაზღვრა იუსტიციის დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული ავტომანქანის საწვავის ყოველთვიური ლიმიტი – 550.00 ლარის ოდენობით. მიუხედავად აღნიშნულისა, დეკემბერში ფაქტობრივად მოხმარებული საწვავის ჯამურმა თანხამ შეადგინა 598.50 ლარი, რაც აღემატება წინასწარ განსაზღვრულ ლიმიტს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის 26 დეკემბერს იუსტიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის №10/ა/ს ბრძანებით განისაზღვრა საწვავის ხარჯვის ახალი ლიმიტი – 600.00 ლარის ოდენობით. საწვავის ჩასხმის ფაქტობრივი მონაცემების შემოწმებით დადგინდა, რომ საწვავის წინასწარ განსაზღვრული ლიმიტის¹⁶ გადაჭარბება დაფიქსირდა 22 დეკემბერს. აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ იუსტიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ ლიმიტის გადაჭარბების ფაქტის გამართლების მიზნით, გაზარდა საწვავის ლიმიტი და ბრძანება მიუსადაგა იმ დროისათვის უკვე საწვავის გახარჯულ თანხას.

დასკვნა

იუსტიციის დეპარტამენტში ავტომანქანის საწვავის ლიმიტის გადაჭარბების ფაქტი და აღნიშნული ფაქტის გამართლების მიზნით იუსტიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებული ქმედება, მიუთითებს დეპარტამენტში საწვავის ხარჯვის კონტროლის ნაკლოვანებებსა და არასათანადო (არაადეკვატური) ღონისძიებების გამოყენებაზე.

რეკომენდაცია

იუსტიციის დეპარტამენტში შემუშავდეს შესაბამისი ეფექტიანი კონტროლის მექანიზმი – საწვავის დადგენილი წესით (დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ გამოცემული საწვავის ლიმიტის ბრძანება) ხარჯვის გასაკონტროლებლად.

¹⁶ აფხაზეთის ა/რ იუსტიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელის 2017 წლის 3 იანვრის №2/ა/ს ბრძანება.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტი:

გამოვლენილი გარემოებები

სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 3 იანვრის №01 1 ბრძანებით განისაზღვრა დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული ავტომანქანების საწვავის ყოველთვიური ლიმიტი, განპიროვნებულ ავტომანქანაზე (SAK-245) - 350 ლიტრი, ხოლო სამსახურებრივ ავტომანქანაზე (JSJ-101) - 300 ლიტრი, თუმცა საწვავის ლიმიტი დეპარტამენტის ხელმძღვანელის ბრძანებებით საანგარიშგებო წლის განმავლობაში შეიცვალა 8-ჯერ (აქედან, 2-ჯერ მაისში (ბრძანება №01 16, ბრძანება №01 17)). დეპარტამენტის ინფორმაციით, აღნიშნული გამოწვეული იყო დეპარტამენტის მივლინებების დროს საწვავის მოხმარების აუცილებლობით, თუმცა არცერთი მივლინების ბრძანებაში არ იყო მითითებული ინფორმაცია საწვავის ლიმიტის ფარგლებში, თუ ლიმიტის ზევით გამოყოფის შესახებ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მაისში გამოცემულ ბრძანებებში განპიროვნებულ და სამორიგეო ავტომანქანაზე საწვავის ლიმიტი დაწესებულია შეცდომით, კერძოდ: განპიროვნებულ ავტომანქანაზე დაწესებული ლიმიტი შეესაბამება სამორიგეო ავტომანქანის ფაქტობრივი საწვავის ხარჯვას და პირიქით, სამორიგეო ავტომანქანის ლიმიტი შეესაბამება განპიროვნებული ავტომანქანის ფაქტობრივი საწვავის ხარჯვას.

დასკვნა

ზემოაღნიშნული ფაქტი მიუთითებს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტში საწვავის მოხმარების კუთხით არსებული კონტროლის მექანიზმის სისუსტეებზე, რაც ქმნის საწვავის არაფექტიანი და არაეკონომიური მოხმარების რისკებს.

რეკომენდაცია

სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მიერ შემუშავდეს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ

წინასწარ, წლის დასაწყისში, შესაბამისი ბრძანებით დადგენილი საწვავის მოხმარების ლიმიტების დაცვას¹⁷.

2.4 დევნილი ბავშვების ბანაკში დასვენება

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტი:

გამოვლენილი გარემოებები

2016-2017 წლებში, თბილისის მერიის და საბურთალოს (2016 წელს – ვაკის) რაიონული გამგეობის მიერ განხორციელდა პროგრამა - ბაკურიანის ბანაკში ბავშვების დასვენება 12 დღით. დევნილთა დეპარტამენტმა საკუთარი ინიციატივით¹⁸ მიმართა გამგეობებს, რათა აღნიშნული პროგრამით ესარგებლათ ასევე სოციალურად დაუცველ დევნილ ბავშვებსაც, რაზეც თანხმობა იქნა მიღებული, კერძოდ, იმ პირობებში, როდესაც არც დეპარტამენტის მხრიდან ყოფილა შეთავაზებული და არც გამგეობას განუსაზღვრავს პროგრამაში მონაწილე ბავშვების რაოდენობა. ვაკის რაიონის გამგეობის 2016 წლის პირველი ივნისის №24/140359 წერილის თანახმად, მიზნობრივ პროგრამაში დასარეგისტრირებლად სოციალურად დაუცველი 10-დან 16 წლამდე დევნილი მოზარდის მშობლებს შესაბამისი საბუთების წარდგენით, ხოლო 2017 წლის 11 ივლისის საბურთალოს რაიონის გამგეობის №31-01171921883 წერილის თანახმად, საბურთალოს რაიონში რეგისტრირებულ დევნილ ბავშვებს განცხადებით უნდა მიემართათ გამგეობისათვის, რის შემდეგაც გამგეობების მიერ დადგენილი წესით მოხდებოდა მათი თხოვნის დაკმაყოფილება. მოწოდებული ინფორმაციით, იმ დევნილი ოჯახების შერჩევა, რომელთა ინფორმირებაც მიზნობრივი პროგრამის თაობაზე უნდა მოეხდინა დეპარტამენტს, განხორციელდა დეპარტამენტის საკუთრებაში არსებულ „დევნილთა ერთიანი მონაცემთა ბაზიდან“ განსაზღვრული კრიტერიუმების (მოზარდები სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან) გამოყენებით. მოწოდებული ინფორმაციით, აღნიშნულ ოჯახებს პროგრამის თაობაზე ეცნობათ ტელეფონით, თუმცა დეპარტამენტმა ვერ წარმოადგინა ინფორმაცია, რამდენ ოჯახთან მოხდა სატელეფონო კომუნიკაცია, რამდენთან ვერ მოხერხდა დაკავშირება (მიზეზის მითითებით), ხოლო იმ პირებიდან, ვისთანაც განხორციელდა დაკავშირება, რამდენი იყო თანახმა და რამდენმა განაცხადა უარი (მიზეზის მითითებით). უფრო მეტი

¹⁷ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციის ხელისუფლების დაწესებულებებში სამსახურებრივი ავტომატური გამოყენების წესის შესახებ“ 2015 წლის 25 სექტემბერის №28 დადგენილების მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁸ მერიაში გაგზავნილი კორესპონდენცია.

ინფორმირებულობის მიზნით, არ მომხდარა ინფორმაციის გავრცელება და იგპ-ებამდე მიტანა მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით (დეპარტამენტის ვებგვერდისა და სატელეკომუნიკაციო არხებით), ასევე არ განხორციელებულა ჩატარებული მონიტორინგის დოკუმენტურად დასაბუთება, რეალურად რამდენი ბავშვი გაემგზავრა ბანაკში. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროგრამის ფარგლებში არ განხორციელებულა დეპარტამენტის ასიგნების ხარჯვა, არანაკლებ მნიშვნელოვანია დევნილი ბავშვების ინფორმირების გამჭვირვალობა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის თანაბარი უზრუნველყოფა, რაც განსაზღვრულია (მოითხოვება) დევნილთა დეპარტამენტის დებულების შესაბამისად¹⁹. აღნიშნული გულისხმობს დევნილი მოსახლეობის ყოფის გაუმჯობესების ხელშეწყობისა და პრობლემების გადაჭრის მიზნით მთავრობასთან, ცენტრალურ ხელისუფლებასა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან კოორდინირებულ ურთიერთობას.

დასკვნა

დევნილთა დეპარტამენტმა არ გამოიყენა მის ხელთ არსებული ყველა საკომუნიკაციო საშუალება, რათა მომხდარიყო იგპ-თა სრულად ინფორმირება დაგეგმილ პროექტთან დაკავშირებით. ასევე პროექტის პასუხისმგებელ პირებს არ მოუხდენიათ იმ ბაზის დამუშავება და შენახვა, რომლის მიხედვითაც განხორციელდა იგპ-ებთან კომუნიკაცია. ზემოაღნიშნულის გამო, ფაქტობრივად შეიქმნა ინფორმაციის მიწოდების გაუმჭვირვალობისა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის არათანაბარი უზრუნველყოფის რისკი.

რეკომენდაცია

ყველა შესაძლო ინტერნეტ და საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით, დევნილთა დეპარტამენტში შემუშავდეს იგპ-თათვის მიმდინარე პროგრამების შესახებ შერჩევისა და შეტყობინების ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს პროცესის მეტ სამართლიანობას, გამჭვირვალობას და იგპ-თა მაქსიმალურ ჩართულობას.

¹⁹ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 7 ნოემბრის №49 დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“, მე-2 თავის მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტი.

2.5 დევნილი ბავშვების ესპანეთის სახელმწიფოში გამგზავრება

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტი:

გამოვლენილი გარემოებები

2008 წლის 25 თებერვალს აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობასა და ესპანეთის სოლიდარობისა და ინტეგრაციის ფონდ FINSOL-ს შორის გაფორმდა მემორანდუმი, რაც ითვალისწინებდა დევნილი და სოციალურად დაუცველი ბავშვების ესპანეთში გამგზავრებას საზაფხულო არდადეგებზე. ესპანეთში ცხოვრების, ჯანმრთელობის და მგზავრობის დაზღვევის ხარჯებს საკუთარ თავზე იღებდა ესპანეთის მხარე. ხოლო ქართული მხარის ერთ-ერთი ვალდებულება იყო ესპანეთის მხარისათვის მიეწოდებინა იმ დევნილი ბავშვების სიები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებდნენ ზემოაღნიშნულ პროექტში.

მემორანდუმით, გასამგზავრებელი ბავშვებთან დაკავშირებით განსაზღვრული იყო შემდეგი კრიტერიუმები: ბავშვი უნდა ყოფილიყო 6-დან 12 წლამდე ასაკის (პირველად მონაწილე) და 6-დან 18 წლამდე ასაკის (განმეორებითი ვიზიტისას). ასევე უნდა ყოფილიყო აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული, მძიმე ეკონომიკური თუ სოციალური მდგომარეობის მქონე ოჯახის წევრი ან სახელმწიფოს მეურვეობის ქვეშ მყოფი თავისი სოციალური თუ ოჯახური მდგომარეობის გამო.

მთავრობის 2008 წლის პირველის მაისის №30 ბრძანებით დევნილთა დეპარტამენტს დაევალა ესპანეთში ბავშვების გამგზავრებასთან დაკავშირებით საორგანიზაციო და სამართლებრივი საკითხების მოგვარება, ხოლო დევნილთა დეპარტამენტის თავმჯდომარის 2009 წლის 13 აპრილის №35 ბრძანებით შექმნილ კომისიას დაევალა მძიმე ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის მქონე ოჯახის წევრი დევნილი ბავშვების შერჩევა. პირველად ქართული მხარის მიერ ესპანეთში გასამგზავრებელი 7 ბავშვის შერჩევა მოხდა 2009 წელს, თუმცა ანალიზის შედეგად აუდიტის ჯგუფმა გამოავლინა, რომ შერჩეული 7 ბავშვიდან 4 არ აკმაყოფილებდა ასაკობრივ ზღვარს, კერძოდ, ერთი ბავშვი იყო 12 წლის, ერთი – 13-ის, ხოლო ორი – 16 წლის.

დეპარტამენტისათვის უცნობი მიზეზების გამო, 2010 წლიდან ესპანეთში გასამგზავრებელი ბავშვების შერჩევას ახდენდა ესპანეთის მხარე. FINSOL-ის მიერ შერჩეული და ესპანეთში გამგზავრებული ბავშვების უმრავლესობის არჩევა ხდებოდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობიდან. ესპანური მხარე

უკავშირდებოდა რუსეთის მიერ ოკუპირებულ გალის რაიონში მდებარე სკოლის დირექტორებს და სთხოვდა მათ მიეწოდებინათ ბავშვების სია, რომლებიც აკმაყოფილებდნენ მემორანდუმის მოთხოვნებს. მიწოდებული სიიდან ესპანური მხარე თავად არჩევდა ბავშვებს და უკვე მზა სიას უგზავნიდა აფხაზეთის მთავრობას, ხოლო აფხაზეთის მთავრობა – დევნილთა დეპარტამენტს. 2010-2017 წლებში გამგზავრებული ბავშვებიდან მხოლოდ 5 მათგანი ცხოვრობდა საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე (აქედან, ერთი ბავშვი შეირჩა 2009 წელს, 3 – 2012 წელს, ხოლო ასევე ერთი ბავშვი – 2011 წელს (მთავრობის თხოვნის საფუძველზე). დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2012 წელს ესპანეთში გამგზავრებული ის სამი ბავშვი, რომელიც ცხოვრობდა საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, ფიგურირებდა ესპანეთის მიერ მოწოდებული სიაში და მათი არჩევის კრიტერიუმები დეპარტამენტისთვის უცნობია).

2010-2017 წლებში დაფიქსირდა მხოლოდ ერთი შემთხვევა – 2017 წელს, როცა ქართულმა მხარემ, ბავშვის მშობლის წერილის საფუძველზე სთხოვა ესპანეთის მხარეს მომხდარიყო ახალი ოჯახის მოძიება აღნიშნული ბავშვისთვის, რაც მათი მხრიდან დაკმაყოფილდა. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ ქართულ მხარეს, შესაბამისი დასაბუთებულობის არსებობისას, FINSOL-სთვის ბავშვების შეთავაზების საშუალება ჰქონდა.

აღსანიშნავია, რომ 2009-2017 წლებში აღნიშნულ პროექტზე ქართული მხარის მიერ ესპანეთში ბავშვების გამგზავრებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო და სამართლებრივი საკითხების მოგვარებისთვის სულ დაიხარჯა 53,542.56 ლარი. ჩატარებული ანალიზით დგინდება, რომ ესპანეთში რამდენიმე წლის განმავლობაში მიემგზავრებოდნენ ძირითადად ერთი და იგივე ბავშვები (თუმცა მემორანდუმით არ არის განსაზღვრული, რომ ესპანეთში წლიდან წლამდე ერთი და იგივე ბავშვები უნდა გაემგზავრონ), შესაბამისად, ქართული მხარის მიერ შერჩევის პროცესში უფრო აქტიური ჩართულობის, მეტი თანაბარი, სამართლიანი პირობების შექმნისა და ინფორმაციის მიწოდების მაღალი გამჭვირვალობის შემთხვევაში, 2009-2017 წლებში შესაძლებელი იქნებოდა საორგანიზაციო და სამართლებრივი საკითხების მოგვარებისთვის თანხების (53,542.56 ლარის, მათ შორის, 2017 წელს – 2,962.00 ლარის) უფრო ეფექტიანად გახარჯვა. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ, იმ შემთხვევაში თუ ყოველწლიურად სხვადასხვა ბავშვი გაემგზავრებოდა, შესაძლებელი იქნებოდა 105 ბავშვის გამგზავრება და აღნიშნული პროგრამიდან უფრო მეტი ბავშვი მიიღებდა სარგებელს (რეალურად კი გაემგზავრა 35 ბავშვი, აქედან, 18 ბავშვი ესპანეთში იმყოფებოდა 3 ან მეტი ვიზიტით (მათ

შორის, 14 ბავშვი ცხოვრობდა გალში, ხოლო - 4 საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე).

დასკვნა

ამრიგად, ვინაიდან დევნილთა დეპარტამენტის ძირითად ამოცანას განეკუთვნება დევნილთა, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში სრულფასოვნად ჩართვისათვის წინადადებებისა და პროექტების შემუშავება და დეპარტამენტი აგვარებდა გასამგზავრებელი ბავშვებისათვის მხოლოდ ტექნიკურ და სამართლებრივ საკითხებს და არ იყო ჩართული ბავშვების შერჩევის პროცესში, აგრეთვე თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ წლიდან წლამდე ესპანეთში მიემგზავრებოდნენ ძირითადად ერთი და იგივე პირები, ფაქტობრივად, შექმნილი იყო პროექტში პოტენციურად მონაწილე ბავშვების არათანაბარი, არასამართლიანი პირობების შექმნისა და ინფორმაციის მიწოდების გაუმჭვირვალობის რისკები.

რეკომენდაცია

დევნილთა დეპარტამენტმა, გამომდინარე იქიდან, რომ ესპანეთში ორი თვით გამგზავრება მნიშვნელოვან ხარჯებთან არის დაკავშირებული, ესპანეთის მხარესთან კომუნიკაციის შედეგად უფრო აქტიურად და თემატურად უზრუნველყოს საკითხის აქტუალობის განხილვა და აქედან გამომდინარე, ყველა ობიექტური მიზეზის გაცნობა და შესაბამისი სამართლიანი მექანიზმის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს დევნილი ბავშვების შერჩევის პროცესის გამჭვირვალობას და პროცესში მათ ფართო ჩართულობას და საორგანიზაციო და სამართლებრივი საკითხების მოგვარებისთვის თანხების უფრო ეფექტიანად ხარჯვას.

2.6 ფინანსური ანგარიშგება და ბუღალტრული დოკუმენტაცია

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტი:

გამოვლენილი გარემოებები

) დევნილთა დეპარტამენტმა 2017 წელს განახორციელა სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობის სახანძრო სიგნალიზაციით აღჭურვა, რომლის ღირებულებამ შეადგინა 1,680.00 ლარი. დეპარტამენტის მიერ მოხდა გაწეული ხარჯის კაპიტალიზება და

2017 წლისათვის აქტივის ცვეთის გაანგარიშების ბაზად გამოყენებულ იქნა როგორც შენობა-ნაგებობის ისტორიული ღირებულება, ასევე კაპიტალიზებული ხარჯი, ხოლო ცვეთის განაკვეთად შენობა-ნაგებობის შესაბამისი 1%-იანი ამორტიზაციის ნორმა. მოქმედი კანონმდებლობით²⁰ ხარჯი, რომელიც არ იწვევს შენობა-ნაგებობის არსებით გაუმჯობესებას, ასევე არ წარმოადგენს შენობა-ნაგებობის განახლებას, რეკონსტრუქციას ან გაფართოებას, რომელიც აუმჯობესებს აქტივის საექსპლუატაციო თვისებებს, ზრდის მოცულობას და მწარმოებლურობას ან მნიშვნელოვნად ახანგრძლივებს აქტივის წინასწარ განსაზღვრულ სასარგებლო მომსახურების ვადას, არ წარმოადგენს კაპიტალიზებად ხარჯს. შესაბამისად, ცვეთის მიზნებისათვის სახანძრო სიგნალიზაცია უნდა აღრიცხულიყო ცალკე აქტივად, როგორც „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“ და ცვეთის დარიცხვა უნდა განხორციელებულიყო არსებული კანონმდებლობის შესაბამისად²¹. ზემოაღნიშნულის გამო, წლის ბოლოსათვის ფინანსურ ანგარიშგებაში „არასაცხოვრებელი შენობების“ ღირებულება არასწორად იქნა გაზრდილი 1,663.20 ლარით²², იმავედროულად, „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის“ ღირებულება არასწორად შემცირდა 1,512.00 ლარით²³. ჯამში, აქტივების ნეტო ღირებულება არასწორად გაიზარდა 151.20 ლარით, ამავედროულად, საკუთარი კაპიტალის მოხმარება შემცირდა, ხოლო წმინდა ღირებულება არასწორად იქნა გაზრდილი 151.20 ლარით;

ქ) დეპარტამენტში²⁴ არ არის აღრიცხული 2017 წელს შესყიდული 27,696.07 ლარის ღირებულების მატერიალური მარაგების შემენისა და გასვლის/ხარჯვის ოპერაციები;

ქ) დეპარტამენტში²⁵ წლის საწყისი და საბოლოო ნაშთები, ნაცვლად გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების საბალანსო ნაშთებისა, არასწორად არის დაფიქსირებული როგორც ბალანსგარეშე საცნობარო მუხლის²⁶ ნაშთები, შესაბამისი თანხებით: ნაშთი წლის დასაწყისისათვის – 36,397.23 ლარი და ნაშთი წლის ბოლოს – 36,734.23 ლარი;

²⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ 24-ე მუხლის მე-14 და მე-15 პუნქტები და მე-16 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

²¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-7 მუხლის №1 დანართი, შიფრი №4167 „სახანძრო სიგნალიზაცია“ ცვეთის წლიური ნორმა 10%.

²² $1,680 - (1,680 \cdot 1\%) = 1,663.20$ ლარი.

²³ $1,680 - (1,680 \cdot 10\%) = 1,512.00$ ლარი.

²⁴ ბალანსის დანართ ფორმა № 5-ში ანგარიშზე „მატერიალური მარაგები“;

²⁵ ბალანსის დანართ ფორმა № 5-ის ანგარიშზე „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“;

²⁶ „(10) ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“.

) დეპარტამენტში „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ „სხვა გასვლების“ ნაცვლად 1,800.99 ლარი შეცდომით არის დაფიქსირებული როგორც „მირითადი კაპიტალის მოხმარება“.

დასკვნა

არასწორად განხორციელებული კაპიტალიზაციის, მატერიალური მარაგების შეძენისა და გასვლის/ხარჯვის ოპერაციების აღურიცხველობის, გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების საწყისი და საბოლოო ნაშთების შეცდომით დაფიქსირების გამო, შეუსაბამოდ იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია მატერიალური ფასეულობების გამოყენებისა და ხარჯვის შესახებ²⁷.

რეკომენდაცია

დევნილთა დეპარტამენტის მიერ უზრუნველყოფილ იქნეს აქტივისა და მისი კუთვნილი ცვეთის სწორად ასახვა. ასევე დადგენილი წესის მიხედვით აისახოს დეპარტამენტის მიერ შეძენილი მატერიალური აქტივების მიღება და გასვლა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტი:

გამოვლენილი გარემოებები

) 2017 წელს დეპარტამენტის შენობაში დამონტაჟდა ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის სისტემა, რომლის შესყიდვისა და მონტაჟის ხარჯებმაც შეადგინა ჯამში 1,095.16 ლარი²⁸. მოქმედი კანონმდებლობის²⁹ მიხედვით, მირითადი აქტივების მიღება აისახება ღირებულებით, რომელიც მოიცავს შესყიდვის, მონტაჟის და დადგმის დანახარჯებს და აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა პირდაპირ დანახარჯებს, შესაბამისად, აღნიშნული აქტივის შესყიდვა უნდა მომხდარიყო „მანქანა-დანადგარები და

²⁷ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების“ 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები.

²⁸ 840.00 ლარი - კვამლის დეტექტორების შეძენის ხარჯი, 135.02 ლარი - სიგნალიზაციის კაბელის შეძენის ხარჯი, 120.14 ლარი - ელექტროაკუმლატორის და მისი პირველადი ელემენტის შეძენის ხარჯი.

²⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტი.

ინვენტარის“ სახაზინო მუხლით³⁰, თუმცა არასწორი კლასიფიკაციით, იუსტიციის დეპარტამენტმა შესყიდვა განახორციელა „საქონელი და მომსახურების“, კერძოდ, „ოფისის ხარჯების“ სახაზინო მუხლით. შესაბამისად, 1,095.16 ლარით არასწორად იქნა გაზრდილი „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გაწეული ხარჯები, ხოლო იმავე თანხით შემცირდა „მანქანა-დანადგარები და ინვენტარის“ მუხლის შესყიდვები, რამაც საბოლოო ჯამში გავლენა იქონია დეპარტამენტის წმინდა ღირებულებაზე, რომელიც წარმოდგენილია ჯამში – 985.64 ლარით შემცირებული თანხით. შესყიდვის შემდგომ, ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის სისტემის მიღება ფინანსურ ანგარიშგებაში³¹ 1,095.16 ლარით უნდა აღრიცხულიყო ცალკე აქტივად და წლის ბოლოს მასზე უნდა მომხდარიყო ცვეთის დარიცხვა კანონმდებლობის³² შესაბამისად, 109.52 ლარის ოდენობით. შესაბამისად, ჯამში ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის სისტემა აქტივის სახით უნდა აღრიცხულიყო ცვეთადარიცხული ნეტო თანხით – 985.64 ლარის ოდენობით. ნაცვლად აღნიშნულისა, დეპარტამენტის ბალანსზე საერთოდ არ ფიქსირდება ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის სისტემის მიღება, ცვეთის დარიცხვა და საბოლოო ნაშთი. გამომდინარე აქედან, არასწორად არის შემცირებული „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის“ ღირებულება 985.64 ლარით³³. 1,095.16 ლარით არის შემცირებული³⁴ აქტივის მიმდინარე პერიოდის შესყიდვის ღირებულება და შემცირებულია³⁵ „ძირითადი კაპიტალის მოხმარება“ 109.52 ლარით;

- ⌋ 2017 წელს დეპარტამენტმა შეიძინა მის ბალანსზე რიცხული ავტომაქანისათვის, ჯამში – 50 ცალი რეცხვის ტალონი, საერთო ჯამური ღირებულებით – 600.00 ლარი. ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობის³⁶ მიხედვით, აღნიშნული ტალონები წარმოადგენს ფულად დოკუმენტებს, შესაბამისად, უნდა დაფიქსირებულიყო

³⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“ მე-5 თავი, კოდი 3112.

³¹ ბალანსის დანართი ფორმა №5-ში უნდა აღრიცხულიყო ცალკე აქტივად ანგარიშზე „(21220) სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“.

³² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის № 439 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-7 მუხლის №1 დანართი, შიფრი № 4167 „სახანძრო სიგნალიზაცია“ ცვეთის წლიური ნორმა 10%.

³³ 1,095.16-109.52=985.64

³⁴ ბალანსის დანართი ფორმა №5-ში ანგარიშზე „(2122) სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“.

³⁵ ბალანსის დანართი ფორმა №2, ფორმა №3, ფორმა №5.

³⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

„ფულადი დოკუმენტების“ (ტალონების) შესყიდვით მიღება³⁷. თუმცა არ ფიქსირდება³⁸ არც ტალონების მიღება და არც მათი დეპარტამენტის სარგებლობისათვის გამოყენებით ხარჯებში ჩამოწერა;

) „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ წლის საწყისი და საბოლოო ნაშთები³⁹, ნაცვლად გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების საბალანსო ნაშთებისა, არასწორად არის დაფიქსირებული ბალანსგარეშე საცნობარო მუხლის „ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“ ნაშთებში, შესაბამისი თანხებით: ნაშთი წლის დასაწყისისათვის – 25,145.28 ლარი და ნაშთი წლის ბოლოს – 27,830.00 ლარი;

) „მატერიალური მარაგები“ წლის საწყისი და საბოლოო ნაშთები, ნაცვლად მატერიალური მარაგების საბალანსო ნაშთებისა, არასწორად არის დაფიქსირებული ბალანსგარეშე საცნობარო მუხლის „ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში“ ნაშთებში, შესაბამისი თანხებით: ნაშთი წლის დასაწყისისათვის – 2,545.20 ლარი და ნაშთი წლის ბოლოს – 2,583.54 ლარი;

) 2017 წელს შესყიდული 15,850.48 ლარის ღირებულების მატერიალური აქტივებიდან „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“ და „მატერიალური მარაგები“ არ არის ასახული 13,737.19 ლარის ღირებულების მატერიალური აქტივების შეძენისა და გასვლის/ხარჯვის ოპერაციები⁴⁰. ამავდროულად საანგარიშგებო წლის განმავლობაში შეძენილ მატერიალური ფასეულობებიდან, ჯამში – 6,565.35 ლარის ღირებულების აქტივებზე არ არის წარმოდგენილი ხარჯებში ჩამოწერის (შიდა გადაცემის) დოკუმენტაცია.

დასკვნა

არასწორად განხორციელებული კაპიტალიზაციის, მატერიალური მარაგების შეძენისა და გასვლის/ხარჯვის ოპერაციების აღურიცხველობის, გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების საწყისი და საბოლოო ნაშთების არასწორად და შეცდომით დაფიქსირების გამო, იუსტიციის დეპარტამენტში ინფორმაცია მატერიალური ფასეულობების შესახებ წარმოდგენილია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შეუსაბამოდ, კერძოდ,

³⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტი.

³⁸ ბალანსის დანართ ფორმა №5- ში (1625).

³⁹ ბალანსის დანართ ფორმა № 5-ის ანგარიშზე.

⁴⁰ ბალანსის დანართ ფორმა № 5-ში.

არაზუსტად, არასრულად და არასწორად⁴¹, რის გამოც იგი მომხმარებლებისათვის არაა სასარგებლო და რელევანტური.

რეკომენდაცია

იუსტიციის დეპარტამენტის მიერ უზრუნველყოფილ იქნეს აქტივისა და მისი კუთვნილი ცვეთის სწორად ასახვა. ასევე დადგენილი წესის მიხედვით აისახოს დეპარტამენტის მიერ შეძენილი მატერიალური აქტივების მიღება და გასვლა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტი:

გამოვლენილი გარემოებები

დეპარტამენტის მიერ 2017 წელს შეძენილი 70 ცალი, 945.00 ლარის ღირებულების რეცხვის ტალონები საანგარიშგებო წელს ბუღალტრულად ჩამოიწერა ხარჯებში როგორც მომსახურება. დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ტალონებს არ გააჩნდათ ყუა, სარეგისტრაციო ნომერი ან სხვა ფულადი დოკუმენტისთვის საჭირო რეკვიზიტები, რის გამოც მოხდა აღნიშნული ტალონების რეცხვის მომსახურებად ჩამოწერა. თუმცა მოქმედი კანონმდებლობით⁴², რეცხვის ტალონები წარმოადგენს ფულად დოკუმენტებს და მათი მიღება-გასვლა უნდა განხორციელდეს⁴³ როგორც მატერიალური მარაგების მოძრაობა, რაც დეპარტამენტის მიერ საანგარიშგებო პერიოდში არ მომხდარა.

დასკვნა

სოფლის მეურნეობის დეპარტამენტში ინფორმაცია მატერიალური ფასეულობების შესახებ წარმოდგენილია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შეუსაბამოდ, კერძოდ,

⁴¹ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების“ 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები.

⁴² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტი.

⁴³ ბალანსის დანართი ფორმა № 5.

არაზუსტად, არასრულად და არასწორად⁴⁴, რის გამოც იგი მომხმარებლებისათვის არაა სასარგებლო და რელევანტური.

რეკომენდაცია

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მოხდეს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მიერ მატერიალური მარაგების (ფულადი დოკუმენტების) აღრიცხვა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა.

2.7 შრომის ანაზღაურება

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტი:

ხელფასის დარიცხვის საფუძვლები

გამოვლენილი გარემოებები

2017 წლის იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით თანამშრომლების სამსახურში გამოცხადებისა და წასვლის კონტროლი ხორციელდებოდა ჟურნალის მეშვეობით, ხოლო 2017 წლის ნოემბრიდან მაგნიტური ბარათების სისტემის მეშვეობით, რომელიც ფუნქციონირებდა სატესტო რეჟიმში ორი თვის განმავლობაში. ჩატარებული ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა რიგი ნაკლოვანებები, კერძოდ:

-)/ უმეტეს შემთხვევაში თანამშრომლების მიერ დარღვეულია შინაგანაწესით განსაზღვრული სამსახურში გამოცხადებისა და წასვლის დრო, თუმცა ტაბელში არ ფიქსირდება აღნიშნული ფაქტები;
-)/ შესწავლის საფუძველზე, იმ პირობებში როდესაც დეპარტამენტში ირიცხებოდა 46 თანამშრომელი, ნოემბერში გამოვლინდა 31 შემთხვევა, ხოლო დეკემბერში – 26 შემთხვევა, როდესაც გვიან მოსვლის და/ან ადრე გასვლის შემთხვევები (4 ან მეტ-საათიანი დაგვიანებები) არ არის დასაბუთებული არანაირი დოკუმენტით, თუმცა ტაბელში დაფიქსირებულია მათი სამსახურში ყოფნა სრული სამუშაო დღით;
-)/ გარკვეულ შემთხვევებში ფიქსირდება თანამშრომლების 17:00 სთ-დან 17:30 სთ-მდე პერიოდში გასვლა. მოწოდებული ინფორმაციით, ხელმძღვანელი პირის მიერ

⁴⁴ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების“ 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები.

ზეპირსიტყვიერი განთავისუფლების საფუძველზე; ნოემბრის თვეში – 11, ხოლო დეკემბრის თვეში – 15 სამუშაო დღე, თუმცა ხელმძღვანელი პირის მიერ თანამშრომლების რეგულარულად დროზე ადრე გაშვება არ იყო დოკუმენტურად დადასტურებული.

დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დევნილთა დეპარტამენტი სათანადოდ/სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს თანამშრომელთა შრომის დისციპლინის დაცვას და ყოველდღიური სამუშაო დროის ზუსტ აღრიცხვას/კონტროლს, რაც შრომის ანაზღაურების არასწორად აღრიცხვის მაღალი რისკის მატარებელია.

რეკომენდაცია

დევნილთა საქმეების დეპარტამენტის მხრიდან უნდა განხორციელდეს თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადებისა და წასვლის დროის რეალური კონტროლი და ტაბელის, რომელიც, თავის მხრივ, შრომის ანაზღაურების საფუძველს წარმოადგენს, რეალურ მონაცემებზე დაყრდნობით წარმოება.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტი:

ხელფასის დარიცხვის საფუძველები

გამოვლენილი გარემოებები

იუსტიციის დეპარტამენტი აწარმოებს „საჯარო მოსამსახურეთა სამსახურში გამოცხადებისა და სამუშაო ადგილის დატოვების დროის აღრიცხვის ჟურნალს“, რომლის ფორმა დამტკიცებულია იუსტიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით⁴⁵, ხოლო სამუშაო დრო 09:00 – 18:00 საათი განსაზღვრულია იმავე ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესით⁴⁶. დეპარტამენტის 2016 წლის 23 დეკემბრის №4 სხდომის ოქმით დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ „ყინვებთან დაკავშირებით“ სამუშაო დროის

⁴⁵ აფხაზეთის ა/რ იუსტიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2014 წლის 14 აგვისტოს №56 ბრძანების „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ დანართი №2.

⁴⁶ აფხაზეთის ა/რ იუსტიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2014 წლის 14 აგვისტოს №56 ბრძანების „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ დანართი №1-ის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი.

დაწყება და დამთავრება განისაზღვრა 10:00-დან 17:30 საათამდე, რომელიც გაგრძელდა პირველ აპრილამდე. თუმცა დროებით შემოდებული რეგულაციის პერიოდის ამოწურვის შემდეგაც ფიქსირდებოდა დადგენილი შეღავათით სარგებლობა. ძირითადად ხშირი იყო დაგვიანების ფაქტები. ამასთანავე, გამოვლინდა 6 შემთხვევა, როდესაც დეპარტამენტის თანამშრომელს დაწერილი აქვს განცხადება გათავისუფლების შესახებ, თუმცა სამსახურში გამოცხადების ჟურნალში დაფიქსირებულია შესაბამისი ხელმოწერები, რაც წარმოშობს რისკს, რომ აღნიშნული თანამშრომლების ხელმოწერები ჟურნალში ფიქსირდება მათი რეალურად სამსახურში არყოფნის პერიოდში. ასევე გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ორი პიროვნების სამსახურში მოსვლა-წასვლის დრო არ ფიქსირდება ჟურნალში, მაშინ როდესაც, განცხადება გათავისუფლებაზე ან რაიმე წერილობითი ახსნა - განმარტებითი ბარათი გაცდენასთან დაკავშირებით, არ გაკეთებულა, რაც მოითხოვება დეპარტამენტის შინაგანაწესის მიხედვით⁴⁷. მიუხედავად აღნიშნული გარემოებისა, სამუშაო დროის გამოყენებისა და ხელფასის გაანგარიშების აღრიცხვის ტაბელში ფიქსირდება მათი ფაქტობრივად ნამუშევარი საათები. აღნიშნული ფაქტები მიუთითებს თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადებისა და შრომის დისციპლინის კონტროლის სისუსტეებზე.

იუსტიციის დეპარტამენტში დამონტაჟებული ელექტრონული გასაღების სისტემა დეპარტამენტს საშუალებას აძლევს დააფიქსიროს თანამშრომლების სამსახურში გამოცხადების ყოველდღიური შემოსვლისა და გასვლის ზუსტი დრო. იუსტიციის დეპარტამენტისგან მოწოდებული ინფორმაციით, ვინაიდან სისტემა ინახავს მხოლოდ ერთი დღის მონაცემებს, დეპარტამენტი არ იყენებს აღნიშნულ ინფორმაციას თანამშრომელთა სამსახურში მოსვლა-წასვლის კონტროლის მიზნით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სისტემურად შესაძლებელია ყოველგვარი დამატებითი დანახარჯების გარეშე დეპარტამენტის მიერ ყოველი დღის ბოლოს მოხდეს სისტემაში დაფიქსირებული მონაცემების ამოღება და შენახვა, რასაც დეპარტამენტი არ ახორციელებს. შესაბამისად აშკარაა, რომ დეპარტამენტს აქვს რესურსი, რომ თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადების აღრიცხვა აწარმოოს ელექტრონული სისტემის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მეტ სიზუსტეს და ნაკლებ ხარვეზს. წინააღმდეგ შემთხვევაში დამონტაჟებული ელექტრონული გასაღების სისტემა და მასზე გაწეული ხარჯები წარმოადგენს არაეფექტიანად გახარჯულ სახსრებს.

⁴⁷ აფხაზეთის ა/რ იუსტიციის 2014 წლის 14 აგვისტოს დეპარტამენტის თავმჯდომარის №56 ბრძანების „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ დანართი №1-ის მე-7 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.

დასკვნა

ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობით⁴⁸, სამუშაო დროის გამოყენების ყოველთვიური აღრიცხვის ფორმა და სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის ჟურნალი წარმოადგენს ხელფასის დარიცხვის საფუძველს, ხოლო იუსტიციის დეპარტამენტის აღრიცხვა ამ კუთხით ხასიათდება ნაკლოვანებებით, წარმოიშობა რისკი იმისა, რომ ხელფასების გაცემა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შეუსაბამოდ.

რეკომენდაცია

იუსტიციის დეპარტამენტის მიერ შრომის დისციპლინის მოწესრიგებისა და ხელფასის გაცემის მეტი სანდოობისათვის უზრუნველყოფილ იქნეს თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადების კონტროლის გაძლიერება.

დროებითი შრომისუუნარობის ანაზღაურება

გამოვლენილი გარემოებები

მოქმედი კანონმდებლობის⁴⁹ შესაბამისად, დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარება ენიშნება ყოველ დასაქმებულს/მოსამსახურეს დროებითი შრომისუუნარობის შემთხვევაში. დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების დანიშვნას, გაანგარიშებას და გაცემას ახდენს დასაქმებულის შემთხვევაში შესაბამისი დამსაქმებელი, ხოლო მოსამსახურის შემთხვევაში – შესაბამისი საბიუჯეტო დაწესებულება. დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების დანიშვნის, გაანგარიშებისა და გაცემის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შესაბამის დამსაქმებელს/დაწესებულებას. მიუხედავად აღნიშნულისა, იუსტიციის დეპარტამენტი არ ახდენდა თანამშრომელთა დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების გაანგარიშებას და მათი შესაბამისი - „დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების“⁵⁰ სახაზინო მუხლით (კოდი 273) გაცემას. ნაცვლად აღნიშნულისა, დეპარტამენტი თანამშრომელთა დროებითი შრომისუუნარობის დროს სრულად გასცემდა ყოველთვიურ ანაზღაურებას

⁴⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 30-ე მუხლის მე-14 პუნქტი.

⁴⁹ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 20 თებერვლის №87/ნ ბრძანებით დამტკიცებული „დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-2 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტები.

⁵⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“ მე-4 თავის 3112 კოდი.

„თანამდებობრივი სარგოს“ სახაზინო მუხლით (კოდი: 21111), 2017 წელს დეპარტამენტის 6 თანამშრომელზე წარმოდგენილია 10 საავადმყოფო ფურცელი, რომელთა საფუძველზეც დადგენილი წესით⁵¹ უნდა მომხდარიყო დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების ოდენობის გაანგარიშება⁵² და შესაბამისი სახაზინო მუხლით გაცემა⁵³, რამაც ჯამში შეადგინა 3,185.24 ლარი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არცერთი საავადმყოფო ფურცელი პირველადი დოკუმენტის სახით არ ინახება დეპარტამენტის ბუღალტრულ დოკუმენტებში, როგორც მოითხოვება მოქმედი კანონმდებლობით⁵⁴ - დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარებების დარიცხვა წარმოებს საავადმყოფო ფურცლების (შრომისუუნარობის ფურცლების) საფუძველზე, რომლებიც გაიცემა დადგენილი წესით. საავადმყოფო ფურცლები იკერება ცალკე საქაღალდეში და ინომრება ქრონოლოგიური წესით – წლის დასაწყისიდან. ყოველ ფურცელზე ისმება იმ უწყისის ნომერი, რომლითაც მოხდა დარიცხვა. მიუხედავად ამისა, დეპარტამენტის ინფორმაციით, საავადმყოფო ფურცლები ინახებოდა თავად თანამშრომლებთან, ხოლო ელექტრონული ვერსია დაფიქსირებული იყო ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამაში, შესაბამისად, გაურკვეველია რის საფუძველზე ახდენდა დეპარტამენტი ხელფასის გაცემას იმ სამუშაო დღეებზე, როდესაც თანამშრომლები რეალურად იმყოფებოდნენ შრომისუუნარო მდგომარეობაში და არ გამოცხადებულან სამსახურში. ვინაიდან დეპარტამენტს არ განუხორციელებია დახმარების ოდენობის გაანგარიშება და გაცემა სწორი სახაზინო მუხლით, შესაბამისად, დარღვეულია მოქმედი კანონმდებლობით⁵⁵ დადგენილი ხარჯების კლასიფიკაციის მოთხოვნები.

⁵¹ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 20 თებერვლის №87/ნ ბრძანებით დამტკიცებული „დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-4 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები.

⁵² საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 20 თებერვლის №87/ნ ბრძანებით დამტკიცებული „დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-6 მუხლი.

⁵³ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 20 თებერვლის №87/ნ ბრძანებით დამტკიცებული „დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.

⁵⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 30-ე მუხლის მე-18 პუნქტი.

⁵⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“ მე-4 თავის 2, 211 და 273 კოდები.

დასკვნა

იუსტიციის დეპარტამენტში ხარჯების არასწორი კლასიფიკაციის გამო 3,185.24 ლარით არასწორად არის გაზრდილი „შრომის ანაზღაურების“ ხარჯები, ხოლო შემცირებულია „სოციალური უზრუნველყოფის“ ხარჯები.

რეკომენდაცია

იუსტიციის დეპარტამენტში თანამშრომელთა დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების გაანგარიშება და გაცემა განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

პრემია

გამოვლენილი გარემოებები

2017 წელს იუსტიციის დეპარტამენტის თანამშრომლებზე გაცემული პრემიების ჯამურმა თანხამ შეადგინა 46,365.00 ლარი. პრემიები გაიცემოდა, როგორც სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით, ასევე თანამშრომელთა წახალისებისა და მოტივაციის გაზრდის მიზნით. აღსანიშნავია, რომ 20,195.00 ლარის პრემია გაცემულია მხოლოდ ხელმძღვანელი თანამდებობის პირის (დეპარტამენტის თავმჯდომარე) ბრძანებების საფუძველზე, სადაც ყველა შემთხვევაში პრემიის გაცემის საფუძვლად ფიქსირდება – „თანამშრომელთა წახალისებისა და მოტივაციის გაზრდის მიზნით“, რომელიც გადმოტანილია უცვლელად მარეგულირებელი კანონმდებლობიდან⁵⁶. ვერ ხდება გაცემული პრემიების რეალური საფუძვლის იდენტიფიცირება, რადგან არცერთ შემთხვევაში არ არის წარმოდგენილი დასაქმებული პირების მიერ შესრულებული კონკრეტული სამუშაოს შეფასება, რასაც ითხოვს მოქმედი კანონმდებლობა⁵⁷. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მარეგულირებელი კანონით⁵⁸, პრემიის გაცემის უფლებამოსილების შესაბამისად, საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირებზე პრემიის გაცემის საკითხის ინიცირების უფლება აქვს შესაბამისი

⁵⁶ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 18 სექტემბრის №39 დადგენილებით დამტკიცებული „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი.

⁵⁷ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 18 სექტემბრის №39 დადგენილებით დამტკიცებული „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტი.

⁵⁸ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 18 სექტემბრის №39 დადგენილებით დამტკიცებული „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის“ მე-4 მუხლი.

სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელს, ხელმძღვანელ თანამდებობის პირს და ზემდგომ თანამდებობის პირს, თუმცა ზემოაღნიშნულ არცერთ შემთხვევაში არ ფიქსირდება შესაბამისი თანამდებობის პირების მიერ პრემიის გაცემის საკითხის ინიცირება.

დასკვნა

იუსტიციის დეპარტამენტში პრემიების გაცემა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის ზოგიერთი მოთხოვნის დარღვევით.

რეკომენდაცია

იუსტიციის დეპარტამენტში პრემიების გაცემა განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტი:

გამოვლენილი გარემოებები

სოფლის მეურნეობის დეპარტამენტში თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადებისა და წასვლის ჟურნალის წარმოება, რომელიც წარმოადგენს სამუშაო დროის გამოყენებისა და ხელფასის გაანგარიშების აღრიცხვის ტაბელის შედგენის საფუძველს, არ ხდებოდა მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით. კერძოდ, ჟურნალში არსებული მონაცემებით თანამშრომელთა მოსვლისა და წასვლის დრო დაფიქსირებულია, შინაგანაწესით განსაზღვრული სამუშაოს დაწყებისა (9:00 სთ.) და დასრულების დრო (18:00 სთ.), შესაბამისად, არ ხდება თანამშრომელთა სამუშაო ადგილზე გამოცხადების რეალური დროის დაფიქსირება, რაც სრულად და ეფექტიანად ვერ უზრუნველყოფს თანამშრომელთა სამუშაო დროის კონტროლს.

დასკვნა

სოფლის მეურნეობის დეპარტამენტში ნაწარმოები სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის ჟურნალი, სრულად არ აკმაყოფილებს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს⁵⁹.

რეკომენდაცია

სოფლის მეურნეობის დეპარტამენტში ხელფასის დარიცხვის საფუძვლების კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, მოხდეს სამუშაოზე გამოცხადების ჟურნალის წესის შესაბამისად წარმოება ან სპეციალური ტექნიკური საშუალების გამოყენება.

2.8 ინვენტარიზაციის პროცესი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტი:

გამოვლენილი გარემოებები

დევნილთა დეპარტამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 14 ნოემბრის №25-ძ/ს ბრძანების საფუძველზე დეპარტამენტში ჩატარებული ძირითადი საშუალებებისა და მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია არ აკმაყოფილებს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს⁶⁰, კერძოდ, ინვენტარიზაციის შედეგად:

-)/ ვერ გამოვლინდა ბუღალტრულ რეესტრებში აღურიცხავი 6 დასახელების მატერიალური მარაგების ფაქტობრივი ნაშთი ღირებულებით 686.27 ლარი;
-)/ ვერ გამოვლინდა ბალანსის საცნობარო მუხლზე „(04) ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში, ზედმეტად აღრიცხული 142.90 ლარის მარაგები;
-)/ ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა აქტივების ადგილმდებარეობისა და მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიხედვით;

⁵⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 30-ე მუხლის მე-14 პუნქტი.

⁶⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტი, მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, მე-8 მუხლის მე-20 პუნქტი.

) არ გამოვლენილა დეპარტამენტის მიერ ფაქტობრივად გამოუყენებელი, არასრულფასოვანი და უვარგისად ქცეული ყველა აქტივი (მონიტორი, კონდიციონერი, მობილური ტელეფონი, 3 უწყვეტი კვების წყარო).

დასკვნა

წარმოდგენილი ფაქტები ნათლად მიუთითებს ინვენტარიზაციის პროცესში არსებულ ნაკლოვანებებზე და აქტივების კონტროლის სისუსტეზე.

რეკომენდაცია

დევნილთა დეპარტამენტმა ინვენტარიზაციის ჩატარებისას იხელმძღვანელოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებით და უზრუნველყოს მატერიალური მარაგების ფაქტობრივი ნაშთების დადგენა, საცნობარო მუხლებზე აღრიცხული აქტივების ნაშთების სიზუსტე, ინვენტარიზაციის ჩატარება ადგილმდებარეობისა და პასუხისმგებელი პირების მიხედვით და მოახდინოს ინვენტარიზაციის შესაბამისად დადგენილი გამოუყენებელი, არასრულფასოვანი და უვარგისად ქცეული აქტივების შესახებ აქტის შედგენა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტი:

გამოვლენილი გარემოებები

) აუდიტორული პროცედურებით გამოვლინდა, იუსტიციის დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული გამოსაყენებლად უვარგისი 2 ერთეული ძირითადი აქტივი, ღირებულებით – 2,455.00 ლარი⁶¹ და 32 ერთეული მცირეფასიანი აქტივი, ღირებულებით – 1,949.75 ლარი. მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნით⁶², უვარგისად ქცეულ აქტივებზე დგება ცალკე აღწერა, ხოლო ინვენტარიზაციის შედეგების აქტში მიეთითება უვარგისად ქცევის მიზეზი და პირი, რომლის ბრალეულობითაც იქცა აქტივი უვარგისად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), თუმცა ზემოთ მითითებული აქტივები არ არის აღრიცხული ცალკე, როგორც გამოსაყენებლად უვარგისი აქტივები, არც

⁶¹ ნოუტბუქი – HP, 1,495.00 ლარი, ნოუტბუქი – „ლენოვო“, 960.00 ლარი.

⁶² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-8 მუხლის 21-ე პუნქტი.

აუდიტის პერიოდში ჩატარებულ ინვენტარიზაციის შედეგებში და არც 2017 წლის ბოლოს ჩატარებულ სავალდებულო ინვენტარიზაციის შედეგებში;

-) არაფინანსური აქტივების შერჩევითი შემოწმების პროცედურებით ასევე გამოვლინდა მიმდინარე აუდიტის პერიოდში ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგებში დაუფიქსირებელი 2 ერთეული აქტივი, რომელთა ღირებულება დაუდგენელია, რადგან დეპარტამენტს არ განუხორციელებია მათი შეძენა და 43 ერთეული, 114.20 ლარის ღირებულების მატერიალური მარაგების ნაშთი⁶³, რომლებიც არ იყო აღრიცხული დეპარტამენტის ბალანსზე. ვინაიდან აღნიშნული მარაგები შეძენილია 2017 წელს, ხოლო 2018 წელს დეპარტამენტს არ განუხორციელებია ანალოგიური მარაგების შესყიდვა, შესაბამისად 2018 წლის განმავლობაში დეპარტამენტი ხარჯავდა 2017 წელს შესყიდულ მარაგებს, რის გამოც, ფაქტია, რომ 2017 წლის ბოლოსათვის იუსტიციის დეპარტამენტს გააჩნდა 114.20 ლარზე მეტი მარაგების ნაშთი, რომლის რაოდენობისა და ღირებულების 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დადგენა აუდიტის ჯგუფისათვის შეუძლებელია ამ მარაგების აღრიცხვის არარსებობის გამო;
-) მიუხედავად მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნისა⁶⁴ იმის თაობაზე, რომ მატერიალურად პასუხისმგებელი პირი უნდა აწარმოებდეს ძირითადი აქტივების, გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა და ფასეულობების საინვენტარო სიებს კანონმდებლობით დამტკიცებული ფორმების შესაბამისად, დეპარტამენტის აქტივებზე მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს აუდირებული წლის განმავლობაში არ გააჩნდა ბუღალტერიისაგან დამოუკიდებლად მატერიალური აქტივების საინვენტარო სიები. დეპარტამენტის ფაქტობრივად არასწორი სააღრიცხვო პოლიტიკის გამო არ ხდებოდა მატერიალური მარაგების ანალიზური აღრიცხვის წარმოება ბარათებზე, მატერიალური მარაგების თითოეული ჯგუფის მიხედვით⁶⁵.

⁶³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტი;

⁶⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტი; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №449 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების დამტკიცების თაობაზე“, ძირითადი აქტივების საინვენტარიზაციო უწყისი ფორმა - „№მა-4“, არაფინანსური აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა) საინვენტარიზაციო უწყისი ფორმა - „№ინვ-4“.

⁶⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი.

დასკვნა

წარმოდგენილი ფაქტები ნათლად მიუთითებს ინვენტარიზაციის პროცესში არსებულ ნაკლოვანებებზე და აქტივების კონტროლის სისუსტეზე.

რეკომენდაცია

მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით განხორციელდეს იუსტიციის დეპარტამენტში გამოსაყენებლად უვარგისი აქტივების ჩამოწერა. იუსტიციის დეპარტამენტმა ინვენტარიზაციის ჩატარებისას იხელმძღვანელოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებით, ხოლო მარაგების შემოსვლა და გასვლა კანონმდებლობით დადგენილ შესაბამის ფორმებში დროულად და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აღირიცხოს მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიხედვით.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტი:

გამოვლენილი გარემოებები

დეპარტამენტის ხელმძღვანელის 2017 წლის 6 დეკემბრის ბრძანება №01 41-ით ჩატარებული სავალდებულო ინვენტარიზაციის შედეგად და სხვა აუდიტორული ალტერნატიული პროცედურებით დადგინდა, რომ დეპარტამენტში მატერიალური მარაგების მიღება-გასვლაზე არ არის განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი⁶⁶, რაც კონტროლის მნიშვნელოვან სისუსტეზე მეტყველებს, ასევე საანგარიშგებო პერიოდისათვის ბალანსზე ირიცხება 4,558.89 ლარის ღირებულების (4,531.89 ლარის ნარჩენი ღირებულების ძირითადი აქტივები და 27.00 ლარის გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები), ისეთი არაფინანსური აქტივები, რომელთა ფიზიკური მდგომარეობის შემოწმება დეპარტამენტის მოწოდებული ინფორმაციით, ვერ მოხდა საინვენტარიზაციო კომისიის მიერ, რადგან აქტივები იმყოფება გალის რაიონში, რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფი ვერ ადასტურებს აღნიშნული აქტივების არსებობას.

⁶⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი.

დასკვნა

ზემოაღნიშნული ფაქტები ნათლად მიუთითებს მატერიალური მარაგების აღრიცხვაში არსებულ ნაკლოვანებებზე, ასევე ძირითად და მცირეფასიან აქტივების კონტროლის სისუსტეზე.

რეკომენდაცია

მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით შემუშავდეს და დაინერგოს მატერიალური მარაგების აღრიცხვიანობის ქმედითი კონტროლის მექანიზმები.

2.9 უძრავი ქონების განკარგვა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტი:

გამოვლენილი გარემოებები

აფხაზეთის ა/რ მთავრობის 2017 წლის 4 მაისის №5 დადგენილებით, დეპარტამენტში ჩატარებული რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა რისკის ანალიზისა და შეფასების სამსახური, რომელიც ყოველგვარი სამართლებრივი (კანონიერი) საფუძვლის გარეშე, განთავსებულია ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირის №16-ში მე-3 სართულზე, აფხაზეთის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სარგებლობაში არსებულ ფართზე (37 კვ.მ), თუმცა მოქმედი კანონმდებლობით⁶⁷, სახელმწიფო ქონება სარგებლობაში გადაიცემა ვადით ან უვადოდ, სასყიდლით ან უსასყიდლოდ, აუქციონის ფორმით ან მის გარეშე, ასევე უძრავი ნივთის სარგებლობაში გადაცემა საჯარო რეესტრში უნდა დაარეგისტრირდეს იმ სახელმწიფოს, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომ, ფიზიკურმა პირმა, საჯარო სამართლის ან კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა, რომელსაც სარგებლობაში გადაეცა ეს ქონება, რაც დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციითა და ფაქტობრივი მდგომარეობის ანალიზით არ დასტურდება.

⁶⁷ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტები.

დასკვნა

ზემოაღნიშნული ფაქტი ადასტურებს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების უგულვებელყოფით სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო ქონების უკანონო გამოყენებაზე.

რეკომენდაცია

მოხდეს სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მიერ უძრავი ქონების გამოყენების მოქმედი კანონმდებლობის ჩარჩოში მოქცევა, კერძოდ, მოხდეს უკვე დაკავებულ ფართზე განთავსება ნორმატიული აქტის შესაბამისად, განსაზღვრული ღონისძიებების გატარება ან დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულისათვის ახალი ფართის გამოყოფა.

2.10 დანაკლისები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტი:

გამოვლენილი გარემოებები

დეპარტამენტის ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნების ანგარიშზე ასახულია 12,773.00 ლარის მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით. აქედან, 10,486.00 ლარის მოთხოვნები აკმაყოფილებს დებიტორულ დავალიანებად (დანაკლისად) აღიარების კრიტერიუმებს, კერძოდ, წარმოადგენს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს, ოკუპაციის შედეგად დარჩენილ უძრავ ქონებას, მიწასა და შენობა-ნაგებობებს, ხოლო 2,287.00 ლარის ღირებულების მოთხოვნები – ოკუპაციის დროს დაკარგული 2 ერთეული მოძრავი ქონების (სადეზინფექციო აპარატი „სოლო“ და მაცივარი „ნორდი“) საბალანსო ღირებულებას, რომლის შესახებაც გარდა სიტყვიერი განმარტებისა, აუდიტის მიმდინარეობისას აუდიტის ჯგუფმა სხვა სათანადო რწმუნება ვერ მიიღო. შესაბამისად, არსებობს რისკი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები (მოძრავი ქონება) უკვე ფაქტობრივად არარსებულ ქონებას წარმოადგენს და დეპარტამენტი ვერ დაიბრუნებს კონტროლს დანაკლისებად აღიარებულ აქტივებზე. მოქმედი კანონმდებლობით⁶⁸, დებიტორული დავალიანების თანხები, რომელთა ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, ჩამოიწერება

⁶⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების მე-14 მუხლის მე-20 და 34-ე პუნქტები.

ხელმძღვანელის ბრძანებით და აისახება არასაოპერაციო ხარჯების ანგარიშზე. ამავე დროს, უიმედო დებიტორული დავალიანების თანხები (გარდა სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამოწერილი დებიტორული დავალიანებებისა) აღირიცხება საცნობარო მუხლში – გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება – 03.

დასკვნა

ზემოაღნიშნული ფაქტი მიუთითებს, რომ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მიერ არ მომხდარა დებიტორულ დავალიანებად აღიარებული აქტივების ამოღების ალბათობის შეფასება და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

რეკომენდაცია

სოფლის მეურნეობის დეპარტამენტში მოხდეს დებიტორულ დავალიანებად აღიარებული აქტივების ამოღების ალბათობის შეფასება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელდეს ადეკვატური რეაგირება.

2.11 სარეზერვო ფონდიდან გაცემული სოციალური დახმარებები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტი:

გამოვლენილი გარემოებები

2017 წელს დევნილთა დეპარტამენტის მიერ აფხაზეთის ა/რ რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან აფხაზეთიდან დევნილ 897 სუბიექტზე გაიცა 196,840.00 ლარის სოციალური დახმარება. მოწოდებული ინფორმაციით, აღნიშნული თანხების გაცემის საფუძველს⁶⁹ წამოადგენდა აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის მიერ გამოცემული ბრძანებები (სულ 897 ბრძანება). გამომდინარე იქიდან, რომ სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდა აფხაზეთის ა/რ მთავრობაში და დეპარტამენტი აღნიშნულ გადაწყვეტილებაში

⁶⁹ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 90-ე მუხლის მე-2 პუნქტი; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2016 წლის 25 იანვრის №42 ბრძანება - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის პროცესში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“.

ფუნქციონალურად მონაწილეობას არ იღებდა, იგი, შესაბამისად, არ ფლობდა დახმარებების მიზნობრივად გამოყოფის საფუძვლების ამსახველ დოკუმენტაციას.

დასკვნა

ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, აუდიტის მსვლელობის დროს ობიექტზე არარსებული დოკუმენტაციის გამო, აუდიტის ჯგუფი შეზღუდული იყო შეესწავლა სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფის მიზნობრიობა, მარეგულირებელი ნორმებით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.

რეკომენდაცია

მაღალი გამჭვირვალობისა და სისრულის უზრუნველსაყოფად, სოციალური დახმარებები გაიცეს იმ უწყების მიერ, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას დაფინანსების შესახებ და ახორციელებს ძირითად პროცედურებს. აღნიშნული საკითხის მოგვარების მიზნით, დევნილთა დეპარტამენტმა შესაბამისი ღონისძიებების გატარების მიზნით მიმართოს მის ზემდგომ მაკონტროლებელ ორგანოს.

2.12 კონტროლი მმართველობაში შემავალ სსიპ-ზე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტი:

გამოვლენილი გარემოებები

2016 წლის 1 იანვრიდან დეპარტამენტის სისტემაში იმყოფება სსიპ - გამწვანებისა და გარემოსდაცვითი პროექტების სააგენტო, რომელსაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად⁷⁰, წინა წელს არ წარმოუდგენია და მაკონტროლებელს არ დაუმტკიცებია, სსიპ-ის კვარტალური და წლიური ფინანსური ანგარიშგებები. დადგინდა, რომ 2017 წელს სსიპ-ის მიერ წარმოდგენილი იყო აღნიშნული ანგარიშები – დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად. მიუხედავად აღნიშნულისა, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს (დეპარტამენტის) მიერ (იმის გამო, რომ დეპარტამენტის განმარტებით დამტკიცების ფორმასთან დაკავშირებით ინფორმირებული არ იყვნენ),

⁷⁰ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტი.

კანონმდებლობის შესაბამისად, ზემოაღნიშნული ანგარიშების დამტკიცება არ განუხორციელებია.

დასკვნა

დაფიქსირებული ნაკლოვანებების მიუხედავად, მდგომარეობის გამოსწორების კუთხით მიმდინარე წელს, ისევე როგორც წინა წელს, ორგანიზაციის მიერ სრულად არ იქნა შესრულებული სას-ის მიერ გაცემული რეკომენდაცია და არ მომხდარა სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს (დეპარტამენტის) მიერ მის დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ-ის კვარტალური და წლიური ანგარიშების დამტკიცება, რითაც დაირღვა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს დეპარტამენტში შესაბამისი კონტროლების არარსებობაზე.

რეკომენდაცია

სოფლის მეურნეობის დეპარტამენტმა უზრუნველყოს შესაბამისი კონტროლების დაწესება და სსიპ-ის მიერ წარმოდგენილი კვარტალური და წლიური ანგარიშების ნორმატიული აქტით დადგენილი წესის შესაბამისად დამტკიცება.

2.13 წინა აუდიტით გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორების მდგომარეობა

წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტით გამოვლენილი ნაკლოვანებების ნაწილობრივ გამოსწორების მიუხედავად, მიმდინარე აუდიტით კვლავ დაფიქსირდა ისეთი ნაკლოვანებები, რომელებიც დაფიქსირდა წინა წელს ჩატარებული აუდიტისას. კერძოდ:

2017 წელს დევნილთა დეპარტამენტში კვლავ დასაქმებული იყვნენ შტატგარეშე მომუშავეები, რომელთა დასაქმება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად უნდა მომხდარიყო მხოლოდ გარკვეული პერიოდით და არამუდმივი სამუშაოებისათვის. მიუხედავად აღნიშნულისა, შტატგარეშე მომუშავეები დეპარტამენტში რიგ შემთხვევაში ირიცხებოდნენ ფაქტობრივად მთელი წლის განმავლობაში, მუდმივი სამუშაოების (სამუშაოთა შინაარსიდან გამომდინარე) შესასრულებლად;

ისევე როგორც წინა წლებში, იუსტიციის დეპარტამენტის, დევნილთა დეპარტამენტის და სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის 2017 წლის ფინანსური ანგარიშგებების ფორმებში კვლავ ფიქსირდება არაზუსტი, არასრული და არასწორი ინფორმაციების წარდგენა;

დევნილთა დეპარტამენტის მიერ 2017 წელს განხორციელებული შესყიდვების ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ისევე როგორც წინა წელს, კვლავ ვადების დარღვევით არის ატვირთული შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ სისტემაში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წინა წელთან შედარებით 2017 წელს 152 ერთეულით (60%-ით) შემცირებულია ატვირთვის ვადების დარღვევის ფაქტები;

სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის სსიპ-ის კვარტალური და წლიური ანგარიშების წარმოდგენის მდგომარეობის გამოსწორების კუთხით, მიმდინარე წელს ორგანიზაციის მიერ სრულად არ იქნა შესრულებული გაცემული რეკომენდაცია, კერძოდ, 2017 წელს სსიპ-ის მიერ წარმოდგენილი იყო აღნიშნული ანგარიშები, თუმცა სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს მიერ კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცება არ მომხდარა.

3. აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

თარიღი:

05.09.2018

აუდიტორთა ხელმოწერა:

ნაია ხოფერია

წამყვანი აუდიტორი, ჯგუფის ხელმძღვანელი
(ტელ.: 599 85 81 98; ელფოსტა: NKhoperia@sao.ge)

ეთერ კაცაძე

უფროსი აუდიტორ-ასისტენტი

მიხეილ გოდოლაძე

უფროსი აუდიტორ-ასისტენტი

ნინო ბრეგვაძე

აუდიტორ-ასისტენტი

ნინო ხაზალაია

აუდიტორ-ასისტენტი



